ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი—თებერვალი 1977 წ.

15 792

## შინაარსი

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 18 ოქტომბრის № 745 დადგენილების მე-11 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
2. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების დებულებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.
3. დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევის ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების სამუშაო ჯგუფების (კომისიების) დებულების შესახებ.
4. კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქციის შესყიდვის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

5. საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაციებში და სახალხო მეურნეობის სხვა ობიექტებზე სოციალისტური საკუთრების დაცვის საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

6. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 2 ნოემბრის № 894 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 2 ნოემბრის № 893 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
8. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 5 ნოემბრის № 914 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
9. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 21 ოქტომბრის № 859 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
10. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს დებულებისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სადაბო საბჭოს აღმასკომის კომუნალურ-საწარმოთა განყოფილების (სამმართველოს, კომბინატის) სანიმუშო დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
11. განსაკუთრებით საშიშ მიწისქვეშა პირობებში სამუშაოებზე დასაქმებულ მუშაკთა დისციპლინის წესდების მოქმედების გავრცელების შესახებ.
12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 11 მარტის № 115 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
13. სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთების გაცემის თაობაზე შუამდგომლობათა აღძვრისა და განხილვის წესის და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მათი გამოყოფის წესის დებულების დამტკიცების შესახებ.
14. საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმნისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის დებულების შესახებ.
15. საქართველოს სსრ საფინანსო და სადაზღვევო ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა ატესტაციის ჩატარების შესახებ.
16. თბილისის ბუნების დაცვის ზონალური ინსპექციის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომისადმი ორმაგი დაქვემდებარების შესახებ.
17. სოფლად ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაკრედიტების შესახებ.
18. ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა გამოცემისათვის, საჯაროდ შესრულებისა და სხვა სახით გამოყენებისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთებისა და გედახდის წესების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 1 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 18 ოქტომბრის № 745 დადგენილების მე-11 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის დაფინანსებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 2 ნოემბრის № 894 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „რესპუბლიკაში ტუბერკულოზით დაავადების შემდგომი შემცირების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 18 ოქტომბრის № 745 დადგენილების მე-11 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი საავადმყოფოებში მედიკამენტებისა და შესახვევ საშუალებათა შეძენისათვის სახსრების ხარჯვის ნორმების ნაწილში.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 11 იანვარი, № 44.

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 2 მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების დებულებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

ქ. თბილისი, 1977 წ. 11 იანვარი, № 52

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების შესახებ და დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ამ საკითხზე ადრე მიღებული 1970 წლის 13 იანვრის № 17 დადგენილება.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს შეიმუშაოს და დაამტკიცოს საინსტრუქციო წერილები საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების მისანიჭებლად ნამუშევრების წარდგენისა და გაფორმების წესის შესახებ და თვალსაჩინო შრომითი მიღწევებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მისანიჭებლად სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა კანდიდატურების წარდგენისა და მასალების გაფორმების წესის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 11 იანვარი, № 52.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა
და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977
წლის 11 იანვრის № 52 დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა
## საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების შესახებ

1. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიები, შემდგომში „საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიებად" წოდებული, მიენიჭებათ ცალკეულ პირებს ან კოლექტივებს:

— სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობის და მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების დარგში ღრმა თეორიული გამოკვლევებისათვის, რომლებიც საქართველოს სსრ სამეცნიერო ორგანიზაციებში შესრულდა;

— მეცნიერული გამოკვლევებისათვის, რომლებიც საქართველოს სსრ სამეცნიერო და შემოქმედებითს ორგანიზაციებში შესრულდა და დიდი წვლილი შეაქვთ სამამულო მეცნიერების განვითარების საქმეში;

— ყველაზე პროგრესული მასალების, მანქანების, მექანიზმების შექმნისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში დანერგვისათვის გაწეული სამუშაოებისათვის;

— ახალი მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში დანერგვისათვის;

— საქართველოს სსრ საწარმოებში ისეთი მოწინავე საწარმოო-ტექნიკური გამოცდილების დანერგვისათვის, რომელსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს;

— საქართველოს სს რესპუბლიკაში ორიგინალური და ეკონომიური სამშენებლო და საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობების შექმნისათვის;

— საქართველოს სსრ მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობასა და სოფლის მეურნეობაში თვალსაჩინო შრომითი წარმატებებისათვის, რაც მოპოვებულია სოციალისტურ შეჯიბრებაში;

— უმაღლესი, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნისათვის.

**შენიშვნები:**

1. თუ სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ახალ დიდ წარმატებებს მიაღწია, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მას შეიძლება მიენიჭოს განმეორებით, მაგრამ წინა პრემიის მინიჭებიდან არა უადრეს 4 წლისა.

2. ნამუშევრები, რომლებისთვისაც მათ ავტორებს უკვე მიენიჭათ მეცნიერებისა და ტექნიკის გამოჩენილ მოღვაწეთა სახელობის პრემიები, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად არ შეიძლება იქნეს წარდგენილი.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მინიჭება ხდება ორ წელიწადში ერთხელ (კენტ წლებში), საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყარების ზეიმის დღისათვის, შემდეგი ოდენობით: 2 პრემია — მეცნიერების დარგში, 2 პრემია — ტექნიკის დარგში, 1 პრემია — სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოებისათვის, 1 პრემია — სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული თვალსაჩინო შრომითი წარმატებებისათვის მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში და 1 პრემია — სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული თვალსაჩინო შრომითი წარმატებებისათვის სოფლის მეურნეობაში. თითოეული პრემიის ოდენობა 2,5 ათასი მანეთია.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მისანიჭებლად ნამუშევრებს წარადგენენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი; რესპუბლიკურ სამეცნიერო და საინჟინრო-ტექნიკურ საზოგადოებათა გამგეობანი; საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სამინისტროთა კოლეგიები, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებისა და მინისტრთა საბჭოებთან არსებული სახელმწიფო კომიტეტებისა და კომიტეტების კოლეგიები; საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებისა და მინისტრთა საბჭოებთან არსებული მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების კოლეგიები; სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი; საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების პრეზიდიუმები; საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი; საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოები; საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებელთა საბჭოები; რესპუბლიკურ გამომცემლობათა საგამომცემლო საბჭოები, გაზეთებისა და ჟურნალების სარედაქციო კოლეგიები; რესპუბლიკის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კოლექტივების კრებები.

**შენიშვნები:**

1. ერთი და იგივე ნამუშევრის ერთდროულად წარდგენა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიისა და ლენინური პრემიის მისანიჭებლად არ შეიძლება.

2. უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები უნდა წარადგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა სახელმძღვანელოები — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სახელმძღვანელოები — საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ.

3. მასალები სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა თვალსაჩინო შრომითი მიღწევების შესახებ უნდა წარადგინონ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების პრეზიდიუმებმა შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამუშევრების წარდგენა უნდა მოხდეს მათი მნიშვნელობის შეფასებისათვის მაღალი მომთხოვნელობის, თითოეული კანდიდატის შემოქმედებითი წვლილის ობიექტური და არგუმენტირებული წინასწარი განხილვის ვითარებაში.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად წარდგენილი კოლექტივი მცირერიცხოვანი უნდა იყოს და შეიცავდეს მხოლოდ ძირითად წამყვან ავტორებს, ვისი შემოქმედებითი წვლილიც ყველაზე თვალსაჩინო იყო. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ნამუშევრებისათვის და სახელმძღვანელოებისათვის წარდგენილი კოლექტივების შემადგენლობა 7 კაცს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო თვალსაჩინო შრომითი მიღწევებისათვის წარდგენილი კოლექტივებისა — 12 კაცს.

**შენიშვნები:**

1. კოლექტივის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნენ პირები, რომლებიც საქართველოს სს რესპუბლიკაში არ ცხოვრობენ, მაგრამ სამუშაო შეასრულეს საქართველოს სსრ ორგანიზაციებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში ან მათთან თანამშრომლობით, და პრემიის მისანიჭებლად წარდგენილი არიან ამ დებულების მე-3 პუნქტის თანახმად.
2. კოლექტივის შემადგენლობაში პირთა შეყვანა მხოლოდ ადმინისტრაციული და ორგანიზაციული მუშაობის ნიშნით არ დაიშვება.

5. იმ მიზნით, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მისანიჭებლად წარდგენილი ნამუშევრები საზოგადოებრიობამ წინასწარ ფართოდ განიხილოს, სამეცნიერო შრომები და სახელმძღვანელოები პრემიების მისანიჭებლად შეიძლება წარდგენილ იქნეს პრესაში მათი გამოქვეყნებიდან არა უადრეს ერთი წლისა. საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობანი, გამოგონებანი, მანქანათა კონსტრუქციები, ახალი მასალები, ტექნოლოგიური პროცესები, წარმოების მეთოდების სრულყოფა შეიძლება წარდგენილ იქნეს პრემიის მისანიჭებლად სახალხო მეურნეობაში მათი დანერგვის შემდეგ.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მისანიჭებლად წარდგენილ ნამუშევრებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი, შემდგომში „საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტად" წოდებული, მიიღებს პრემიების მინიჭების წლის წინა წლის 1 ივნისამდე.

წარდგენილი ნამუშევრების აღწერილობა მთელი აუცილებელი დოკუმენტაციითურთ უნდა წარედგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტს ოთხ ეგზემპლარად.

მასალებს სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა შრომითი მიღწევების შესახებ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი მიიღებს პრემიების მინიჭების წლის 25 იანვრამდე. შესაბამისი მასალები საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტს უნდა წარედგინოს ორ ეგზემპლარად.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი მიიღებს ყველა წარდგენილ ნამუშევარს და გაუგზავნის მათ განსახილველად თავის სექციებს მეცნიერებისა და ტექნიკის ცალკეული დარგების მიხედვით. სექციების მიერ ამ

ნამუშევრების შესწავლის მასალების საფუძველზე საქართველოს სსრ სახელ-მწიფო პრემიების კომიტეტი პრემიების მინიჭების წლის წინა წლის 1 ნოემბრამდე ღია კენჭისყრით მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად წარდგენილი ყოველი ცალკეული ნამუშევრის საკონკურსოდ დაშვების შესახებ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მისანიჭებლად საკონკურსოდ დაშვებული ნამუშევრების სია ამ ნამუშევრების ავტორთა აღნიშვნით ქვეყნდება რესპუბლიკურ პრესაში პრემიების მინიჭების წლის წინა წლის არა უგვიანეს 5 ნოემბრისა.

**შენიშვნა:**

ნამუშევრები, რომლებიც საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა საკონკურსოდ არ დაუშვა, არ შეიძლება წარდგენილ იქნეს განმეორებით საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მისანიჭებლად, თუ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სპეციალური გადაწყვეტილებით დათქმული არ არის სხვა პირობა.

8. საკონკურსოდ დაშვებული ნამუშევრები ყოველმხრივ და პრინციპულად უნდა იყოს განხილული პრესაში, სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა თათბირებსა და კონფერენციებზე, სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური და სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოების სხდომებზე, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კოლექტივების კრებებზე.

ამ განხილვის მასალები პრემიების მინიჭების წლის არა უგვიანეს 1 იანვრისა უნდა გაეგზავნოს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტს.

**შენიშვნა:**

განსახილველი ნამუშევრების მნიშვნელობის შესახებ თავისი მოსაზრებანი საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტს შეუძლიათ გაუგზავნონ ცალკეულმა პირებმაც.

9. გადაწყვეტილებას ყველაზე ღირსეული ნამუშევრების ავტორთათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი მიიღებს ფარული კენჭისყრით საკონკურსოდ დაშვებული ნამუშევრების ყოველმხრივ განხილვის საფუძველზე, მათი ფართოდ განხილვის მსვლელობაში შემოსული მასალების გათვალისწინებით.

გადაწყვეტილებას სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი მიიღებს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად.

**შენიშვნა:**

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად კონკურსში დაშვებული ნამუშევარი, რომელსაც პრემია არ მიუღია, შეიძლება განმეორებით, მაგრამ კიდევ მხოლოდ ორჯერ, შეიძლება წარდგენილ იქნეს საერთო წესით საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად.

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი კოლექტივებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მინიჭებისას ხელმძღვანელობს შემდეგით: თუ კოლექტივი ორი წევრისაგან შედგება, პრემია მათ შორის იყოფა თანაბრად; თუ კოლექტივი სამი წევრისაგან შედგება, ხელმძღვანელს მიეცემა პრემიის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი გაიყოფა თანაბრად დანარჩენ ორ მონაწილეს შორის; თუ კოლექტივი ოთხი და მეტი კაცისაგან შედგება, ხელმძღვანელს მიეცემა პრემიის მესამედი, ხოლო ორი მესამედი გაიყოფა თანაბრად კოლექტივის დანარჩენ წევრებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ ავტორთა კოლექტივს ხელმძღვანელი არ დაუსახელებია, პრემია თანაბრად გაიყოფა კოლექტივის ყველა წევრს შორის.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც ამ გადაწყვეტილებას დაამტკიცებენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ზეიმის დღეს.

პირებს, რომლებმაც მიიღეს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიები, მიენიჭებათ წოდება „საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი“, გადაეცემათ დიპლომი და საპატიო ნიშანი პრემიის მინიჭების წლის აღნიშვნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 197. წლის 11 იანვრის № 52 დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი, შემდგომში „საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტად“ წოდებული, იქმნება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტს ევალება საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების მინიჭება მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების დებულების 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის შემადგენლობა მტკიცდება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 2 წლის ვადით.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება კომიტეტის წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილება საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად წარდგენილი ნამუშევრების საკონკურსოდ დაშვების შესახებ მიიღება ღია კენჭისყრით, ხოლო საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ — ფარული კენჭისყრით, კომიტეტის დამსწრე წევრთა რიცხვის სულ ცოტა სამი მეოთხედი ხმის უმრავლესობით.

**შენიშვნა:**

იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრის პირველი ტურის შედეგად მიღებული არ იქნება გადაწყვეტილება საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ, დასაშვებია მოეწყოს კენჭისყრის შემდგომი ტურები (მაგრამ კიდევ არა უმეტეს ორისა). თუ კენჭისყრის სამი ტურის შედეგად ვერც ერთმა ნამუშევარმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, ეს ნამუშევრები კონკურსიდან მოიხსნება და შესაბამისი პრემია მიუნიჭებლად ჩაითვლება.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრები გაეცნობიან კომიტეტში შემოსულ ნამუშევრებს და საჭიროების შემთხვევაში გაემგზავრებიან ადგილებზე პრემიების მისანიჭებლად წარდგენილი ნამუშევრების უფრო სრულად და ყოველმხრივ გასაცნობად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტს უფლება ენიჭება:

ა) შექმნას სექციები და საექსპერტო კომისიები მეცნიერებისა და ტექნიკის ცალკეულ დარგებში ნამუშევრების წინასწარ განსახილველად და რეკომენდაციების მისაღებად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) დაავალოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ნამუშევრების განხილვა საწარმოებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და სხვა ორგანიზაციებს;

გ) გაგზავნოს საექსპერტო კომისიები ადგილებზე სამშენებლო და ტექნიკური ნაგებობების, გამოგონებების, კონსტრუქციების, მასალების, ტექნოლოგიური პროცესებისა და მათი დანერგვის მდგომარეობის გასაცნობად;

დ) მიიწვიოს ნამუშევრების სარეცენზიოდ ცალკეული მეცნიერები და მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

რეცენზენტთა და ექსპერტთა მუშაობა ანაზღაურდება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული განაკვეთების მიხედვით.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტთან არსებობს სამდივნო, რომელიც წინასწარ შეისწავლის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მისანიჭებლად წარდგენილ ნამუშევრებს, მოამზადებს მთელ მასალას კომიტეტის სექციებისა და პლენუმების მიერ განსახილველად, შეისწავლის და განაზოგადებს საზოგადოებრივი განხილვის მასალებს, რეცენზიებსა და სამეცნიერო-კრიტიკულ ლიტერატურას წარდგენილ ნამუშევრებზე, განახორციელებს საქმისწარმოებას, აგრეთვე მოაწყობს მეცნიერებისა და ტექნიკის წამყვან მოღვაწეთა გამოსვლებს პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით იმ ნამუშევრების შესახებ, რომლებიც დაშვებულ იქნა საკონკურსოდ და მიენიჭათ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიები.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტს აქვს ბეჭედი და ანგარიში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 3 დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევათა ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების სამუშაო ჯგუფების (კომისიების) დებულების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ „დანაშაულობის თავიდან აცილებისა და სამართალდარღვევის ფაქტებზე რეაგირების მოწყობის დარგში რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, საზოგადოებრიობის როლის შემდგომი გაძლიერებისა და სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 18 იანვრის № 37 დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში შეიქმნა დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევათა ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების სამუშაო ჯგუფები (კომისიები).

ამ ჯგუფებმა (კომისიებმა) გარკვეული მუშაობა გასწიეს ხსენებული დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად და დადებითი გამოცდილება შეიძინეს დამნაშავეობის პროფილაქტიკის საქმეში.

სკკპ XXV ყრილობა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ (1976 წ.) მოითხოვენ დამნაშავეობასთან ბრძოლის შემდგომ აქტივიზაციასა და საზოგადოებრიობის როლის ამაღლებას სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაში.

დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევათა ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების სამუშაო ჯგუფების (კომისიების) საქმიანობის გაუმჯობესების, მათი გეგმაზომიერი და მიზანდასახული მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების მიერ წარმოდგენილი თანდართული დებულება დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევათა ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების სამუშაო ჯგუფების (კომისიების) შესახებ.

2. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა იხელმძღვანელონ აღნიშნული დებულებით დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა მიერ დაშვებული სამართალდარღვევის ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების მიზნით მუშაობის ორგანიზაციისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიონ სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობას „დანაშაულობის თავიდან აცილებისა და სამართალდარღვევის ფაქტების რეაგირების მოწყობის დარგში რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, საზოგადოებრიობის როლის შემდგომი გაძლიერებისა და სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 18 იანვრის № 37 დადგენილების შესასრულებლად.

4. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილებამ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევათა ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების სამუშაო ჯგუფების (კომისიების) საქმიანობისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის რესპუბლიკურმა კომისიამ პერიოდულად წარმოუდგინონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს ინფორმაცია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 18 იანვრის № 37 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 8 თებერვალი, № 139.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 8 თებერვლის № 139
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევათა ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების სამუშაო ჯგუფების (კომისიების) შესახებ

### I. დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევათა ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების სამუშაო ჯგუფების (კომისიების) ამოცანები და მათი ორგანიზაციის წესი

1. სამუშაო ჯგუფები (კომისიები) იქმნება „დანაშაულობის თავიდან აცილებისა და სამართალდარღვევის ფაქტებზე რეაგირების მოწყობის დარგში რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, საზოგადოებრიობის როლის შემდგომი გაძლიერებისა და სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 18 იანვრის № 37 დადგენილების შესაბამისად.

დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევათა ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების სამუშაო ჯგუფები (კომისიები) სამინისტროს, უწყების სამმართველო აპარატის უმნიშვნელოვანესი რგოლია, რომელიც ორგანიზაციას, კოორდინაციასა და კონტროლს უწევს მთელ მუშაობას, რაც მოცემული სამინისტროს, უწყების სისტემაში ხორციელდება საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, აგრეთვე სამინისტროს, უწყების ცენტრალური აპარატის მუშა-მოსამსახურეთა მხრივ დამნაშავეობისა და სამართალდარღვევის თავიდან აცილებისათვის.

დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევათა ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების სამუშაო ჯგუფების (კომისიების) ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

— ყოველმხრივ გააძლიერონ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა კოლექტივების აქტივობა სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების ყოველგვარი დარღვევის, ლოთობის, ხულიგნობის, სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში;

— გააძლიერონ საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სამართალდარღვევათა ფაქტებზე რეაგირების საქმეში მუშაობის მდგომარეობისათვის;

— მოაწყონ გეგმაზომიერი და სისტემატური მუშაობა ამ მიმართულებით, რათა დამნაშავეობის თითოეული ფაქტი მშრომელთა კოლექტივების, მათი პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების პრინციპული მსჯელობის საგანი გახდეს;

— მოაწყონ საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებში მუშაობა, რათა მშრომელთა კოლექტივებში შეიქმნას სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის დარღვევის ფაქტებისადმი შეუწყნარებლობის ატმოსფერო, აგრეთვე აღზარდონ მშრომელები დანაშაულებრივი გამოვლინებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით;

— გამოავლინონ და განაზოგადონ სისტემის მუშაკების მიერ ჩადენილ დანაშაულთა და სამართალდარღვევათა ანალიზის საფუძველზე ის მიზეზები და პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს აღნიშნულ დანაშაულთა და სამართალდარღვევათა ჩადენას, რათა წარუდგინონ სამინისტროს, უწყების ხელმძღვანელობას კონკრეტული წინადადებანი მათი აღმოფხვრის შესახებ.

2. დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევათა ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების სამუშაო ჯგუფები (კომისიები) შეიქმნება საქართველოს სსრ სამინისტროებში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტებში და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კომიტეტებში, რესპუბლიკურ გაერთიანებებში, ტრესტებში, მსხვილ ორგანიზაციებში, საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებებში.

დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევათა ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების სამუშაო ჯგუფები (კომისიები) შეიქმნება სამინისტროს, უწყების, ორგანიზაციის, დაწესებულების ბრძანების საფუძველზე.

სამუშაო ჯგუფის (კომისიის) შემადგენლობაში შევლენ 7-9 თანამდებობის პირი და პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფს (კომისიას) სათავეში ჩაუდგება ხელმძღვანელი — მინისტრის (უწყების, ორგანიზაციის, დაწესებულების ხელმძღვანელის) მოადგილე, რომელიც კადრების საკითხებს განაგებს. გარდა ამისა, სამუშაო ჯგუფის (კომისიის) შემადგენლობაში შევლენ პარტიული კომიტეტის (პარტიული ბიუროს) მდივანი, პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე, კომკავშირის კომიტეტის (ბიუროს) მდივანი, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე, კადრების განყოფილების (სამმართველოს) უფროსი, იურიდიული განყოფილების უფროსი (იურისკონსულტი), საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების (სამმართველოს) უფროსი, აგრეთვე წარმოების მოწინავენი.

## II. დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევათა ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების სამუშაო ჯგუფების (კომისიების) მუშაობის წესი

1. სამუშაო ჯგუფები (კომისიები) დაგეგმავენ და მოაწყობენ ღონისძიებებს სამართალდარღვევათა ფაქტებზე ოპერატიული რეაგირებისა და მათი ქმედითი პროფილაქტიკის უზრუნველსაყოფად. თავიანთ მუშაობაში სამუშაო ჯგუფები (კომისიები) დაეყრდნობიან აქტივს.

2. ადგილებზე პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციისა და ქმედითი რეაგირებისათვის დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევათა

ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების სამუშაო ჯგუფები (კომისიები) უზრუნველყოფენ საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შესაბამისი ინფორმაციით იმ პირების მიერ ჩადენილ დანაშაულთა და სამართალდარღვევათა შესახებ, რომლებიც მუშაობენ ან სწავლობენ ამ საწარმოებში, ორგანიზაციებში ან სასწავლებლებში.

3. სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების ამგვარი ინფორმირებისათვის საფუძველს წარმოადგენენ:

— ყოველკვირეული ანალიზური ბიულეტენები, რომელთაც საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოსცემს და უგზავნის რესპუბლიკის ყველა სამინისტროსა და უწყებას, საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციასა და დაწესებულებას;

— რესპუბლიკის პროკურატურის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ შეტანილი ცალკეული წარდგინებანი დამნაშავეობასთან ბრძოლის და დანაშაულთა ჩადენისათვის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის საკითხებზე, აგრეთვე სასამართლო ორგანოების კერძო განჩინებანი;

— როგორც საუწყებო საკონტროლო-სარევიზიო აპარატის, ისევე სხვა კომპეტენტური საკონტროლო ორგანოებისა და ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ რევიზიათა და საკონტროლო შემოწმებათა მასალები;

— სხვა ოფიციალური ინფორმაცია სოციალისტური საკუთრების დაცვის მდგომარეობასთან, დანაშაულთა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

— პრესისა და რადიო-ტელევიზიის გადაცემათა მასალები.

4. საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები დანაშაულის ან სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან არა უგვიანეს ათი დღის შემდეგ აცნობებენ სამუშაო ჯგუფს (კომისიას) რეაგირების შედეგებს და მიღებულ ზომებს სპეციალური ცნობის ფორმის მიხედვით (თან ერთვის).

5. დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევათა ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების სამუშაო ჯგუფების (კომისიების) სხდომები მოეწყობა თვეში ერთხელ მაინც.

სამუშაო ჯგუფები (კომისიები) თავიანთ სხდომებზე:

— მოისმენენ ინფორმაციას საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის გაგზავნილი ინფორმაციების მიხედვით რეაგირების შედეგებისა და მიღებული ზომების შესახებ;

— მოისმენენ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშებს დანაშაულთა და სამართალდარღვევათა ფაქტებზე რეაგირების სისტემის სრულყოფისათვის, გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, სამართლებრივი პროპაგანდის გაუმჯობესებისათვის მიღებული ზომების შესახებ, კადრების, უწინარეს ყოვლისა მატერიალურად პასუხსაგები თანამდებობის მუშაკთა კადრების შერჩევის, სწორად განაწილებისა და აღზრდისათვის გაწეული მუშაობის შესახებ, დატაცებისაგან, გაფუჭებისა

და უყაირათობისგან სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

საჭიროების შემთხვევაში სამუშაო ჯგუფი (კომისია) მინისტრს, უწყების ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებას იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილია კოლეგიის სხდომაზე განხილულ იქნეს სისტემის საწარმოებში დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევათა ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების საქმეში მუშაობის მდგომარეობის საკითხი. თუ სამუშაო ჯგუფს (კომისიას) მიაჩნია, რომ საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ან სასწავლებლის ესა თუ ის ხელმძღვანელი ჯეროვან დონეზე ვერ უზრუნველყოფს ხელმძღვანელობას დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევათა ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების საქმეში, იგი სამინისტროს, უწყების ხელმძღვანელობას წარუდგენს დასაბუთებულ წინადადებას ასეთი ხელმძღვანელის მიმართ შესაბამისი ზომების მიღების შესახებ.

6. საქვეუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში დამნაშავეობის მდგომარეობის, აგრეთვე ამა თუ იმ დანაშაულთა და სამართალდარღვევათა ჩადენისათვის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების ანალიზის საფუძველზე სამუშაო ჯგუფები (კომისიები) შეიმუშავებენ კონკრეტულ ღონისძიებებს ამ მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად და, წინასწარ განიხილავენ რა მათ თავიანთ სხდომაზე, წარუდგენენ განსახილველად მინისტრს, უწყების ხელმძღვანელს.

სამართალდარღვევათა ფაქტებზე რეაგირებისა და დამნაშავეობის პროფილაქტიკის საქმეში მუშაობის მდგომარეობის განზოგადებულ მიმოხილვებს სამუშაო ჯგუფები (კომისიები) პერიოდულად გაუგზავნიან საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებს.

7. სამუშაო ჯგუფები (კომისიები) გამოავლენენ, შეისწავლიან და განაზოგადებენ სამართალდარღვევათა ფაქტებზე რეაგირებისა და დამნაშავეობის პროფილაქტიკისათვის მუშაობის დადებითი გამოცდილებას, რაც შეიძინეს საქვეუწყებო რგოლებმა, ორგანიზაციებმა, საწარმოებმა და დაწესებულებებმა, წარუდგენენ მინისტრს, უწყების ხელმძღვანელს განსახილველად წინადადებებს ამ მუშაობის სანიმუშო ორგანიზაციისათვის, სისტემის ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელ მუშაკთა წახალისების შესახებ.

8. სამინისტროს, უწყების სისტემაში სამართალდარღვევათა ფაქტებზე რეაგირებისა და დამნაშავეობის პროფილაქტიკის საქმეში გაწეული მუშაობის კვარტალურ განზოგადებულ შედეგებს სამუშაო ჯგუფი (კომისია) წარუდგენს დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევათა ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების რესპუბლიკურ კომისიას საანგარიშო კვარტალის მომდევნო კვარტალის პირველი თვის არა უგვიანეს 10 რიცხვისა, ანგარიშის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე გადაბეჭდილ სამ გვერდს და უნდა შეიცავდეს მხოლოდ კონკრეტულ მონაცემებს, რომლებიც ასახავენ სამუშაო ჯგუფში (კომისიაში) ადგილებიდან მიღებული სპეციალური ცნობების ყველა პოზიციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევათა ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების სამუშაო ჯგუფის (კომისიის) მთელ დოკუმენტაციას (სხდომათა ოქმები, ინფორმაციის მომზადება და დაგზავნა და ა. შ.) განაგებს იურიდიული განყოფილების (სამმართველოს) უფროსი, იურისკონსულტი ან კადრების განყოფილების (სამმართველოს) უფროსი.

10. რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 18 იანვრის № 37 დადგენილებისა და ამ დებულების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებენ და მიიღებენ მათი მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით საუწყებო დებულებებს დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევათა ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების სამუშაო ჯგუფების (კომისიების) შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგზავნება დანაშაულის ან სამართალდა-რღვევის შესახებ ინფორმაციის მიღე-ბიდან არა უგვიანეს 10 დღის შემდეგ

## ც ნ ო ბ ა

### დანაშაულის (სამართალდარღვევის) ფაქტზე რეაგირების შედეგებისა და პროფილაქტიკური ხასიათის მიღებული ზომების შესახებ

საკითხი ____________________________________________

(სამართალდამრღვევის, გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადე-

____________________________________________

ბის წელი, დაკავებული თანამდებობა, პარტიულობა)

______________ მიერ ჩადენილი ______________

______________ ფაქტის შესახებ განხილულ იქნა პარტიულ, საერთო, პროფ-
(საჭიროს ხაზი გაესვას)
კავშირულ, კომკავშირულ კრებაზე, რომელსაც დაესწრო ________ კაცი.

კრებაზე სამართალდამრღვევის მოქმედება დაგმეს: ______________

____________________________________________

____________________________________________

____________________________________________

____________________________________________

____________________________________________

(გამოსულთა გვარები და თანამდებობანი)

კრების გადაწყვეტილება: ______________________

____________________________________________

____________________________________________

მიღებული პროფილაქტიკური ზომები: ______________

____________________________________________

____________________________________________

____________________________________________

____________________________________________

____________________________________________

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

---

(აღინიშნოს შრომის დისციპლინის განმტკიცების, კადრების განახლების, საკონტროლო-გასაშვები რეჟიმის გაძლიერების, აღრიცხვის გაუმჯობესების, ანგარიშგებაში წესრიგის დამყარების, მუშათა და მოსამსახურეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების და თავისუფალი დროის ორგანიზაციის, დამრიგებლობისა და შეფობის გაუმჯობესების და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ როგორც დატაცებისა და ქურდობის აღკვეთას, ისევე მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავიდან აცილებას)

**საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელი** ————————————

(ხელმოწერა)

**პარტბიუროს მდივანი** ————————————

(ხელმოწერა)

**პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე** ————————————

(ხელმოწერა)

**კომკავშირის კომიტეტის მდივანი** ————————————

(ხელმოწერა)

197 წლის „——" ——————————

# 4 კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქციის შესყიდვის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელების შედეგად უკანასკნელ წლებში მკვეთრად გადიდდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის მოცულობა მთლიანად რესპუბლიკაში, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივ მეურნეობებში.

მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობის ზოგიერთი პროდუქტის წარმოებასა და დამზადებაში, რომელთა მოცულობის გადიდებით დაინტერესებულია სახელმწიფო, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა პირად დამხმარე მეურნეობას.

ამავე დროს ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ უთმობენ პირადი დამხმარე მეურნეობის განვითარებას იმ დებულებების შესაბამისად, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე.

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები არ კისრულობენ პასუხისმგებლობას კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა საკარმიდამო ნაკვეთებზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების განვითარებისათვის, არ უწევენ მათ საჭირო დახმარებას მოსახლეობის პირადი საკუთრების პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების, მინერალური და ორგანული სასუქებით, შხამქიმიკატებითა და საკვებით უზრუნველყოფის, მოსახლეობისაგან შესასყიდი სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში და არ იღებენ ზომებს კოლმეურნეებისაგან, საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებისა და მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად.

მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის არსებული პრაქტიკაც არ უწყობს ხელს საკარმიდამო ნაკვეთებზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდებით კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა მატერიალური და მორალური დაინტერესების გაძლიერებას და ბოროტმოქმედებისა და სპეკულაციის ფაქტების აღკვეთას.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების შემდგომი გადიდებისათვის პირად დამხმარე მეურნეობათა უფრო ეფექტიანი გამოყენების, პროდუქტების დამზადებისა და ანგარიშსწორების დროს მოსახლეობისათვის მოხერხებული პირობების უზრუნველყოფის, რესპუბლიკის სოფლის

№1 ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობაში შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დამზადების სისტემის სრულყოფის მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამეურნეობათაშორისო და სხვა გაერთიანებებსა და მათს საწარმოებს ყველგან შეისყიდონ (მიიღონ) კოლმეურნეებისაგან, საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან ხორცი, რძე, მატყლი და კვერცხი, მოყოლებული 1977 წლის 1 აპრილიდან, ხოლო ბოსტნეული, ბაღჩეული, ხილი (მათ შორის გარეული ხილი), ციტრუსები, თამბაქო და მემცენარეობის ყველა სხვა პროდუქტი — როგორც თვით მეურნეობების, ისევე რაიონული რგოლის ორგანოების ტექნიკური მზადყოფნის ორგანიზაციის კვალობაზე.

დაწესდეს, რომ:

— ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის ნამეტ პროდუქტებს შეისყიდიან მახლობელი მეურნეობები;

— მოსახლეობისაგან შესყიდული მთელი სოფლის მეურნეობის პროდუქტებისათვის მას ანგარიშს გაუსწორებენ დამამზადებელი ორგანიზაციები, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, მხოლოდ და მხოლოდ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების სალაროების მეშვეობით, პროდუქტების ჩაბარებისთანავე;

— კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სამეურნეობათაშორისო და სხვა გაერთიანებანი და მათი საწარმოები მიაწვდიან სოფლის მეურნეობის პროდუქტებს საერთო-საკავშირო ფონდში, ადგილობრივ სავაჭრო ორგანიზაციებს და სამრეწველო გადამუშავებისათვის იმ რაიონებიდან, სადაც არის ამ პროდუქტების საქონლური დამუშავებისა და გაგზავნისათვის შესაბამისი პირობები;

— იმ რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სადაც არ არის სოფლის მეურნეობის პროდუქტების საქონლური დამუშავებისა და გაგზავნისათვის საჭირო პირობები, აღნიშნულ პროდუქტებს ჩააბარებენ ცეკავშირის დამამზადებელ ორგანიზაციებს შემდგომში მომხმარებელთათვის გასაგზავნად.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ ერთი თვის ვადაში ერთობლივად განსაზღვრონ ის რაიონები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სადაც არის მომხმარებელთათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაგზავნის პირობები მათი გამოყენების გეგმის მიხედვით.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად გაითვალისწინოს სახალხო-სამეურნეო გეგმებში მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების შესყიდვა რაიონების მიხედვით ცალ-ცალკე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრომ შეისწავლონ ჩვენს ქვეყანაში არსებული

პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმიანი რეგულირების პრაქტიკა, როცა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებს უდებენ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებს, ყოველმხრივ ეხმარებიან მათ პირუტყვისა და ფრინველის ჯიშობრივი შემადგენლობის, ვეტერინარული და აგროტექნიკური მომსახურების გაუმჯობესების, ტრანსპორტის გამოყოფის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად სამკურნალო პრეპარატების მიწოდების და სხვა ღონისძიებათა განხორციელების გზით, ხოლო კოლმეურნეები, მუშები და მოსამსახურეები კისრულობენ ვალდებულებას ჩააბარონ სახელმწიფოს რაც შეიძლება მეტი პროდუქცია, და დანერგონ ეს პრაქტიკა რესპუბლიკაში.

4. საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ შეიმუშაოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების მიხედვით მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის სტატისტიკური ანგარიშგების პროექტი და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

5. იმასთან დაკავშირებით, რომ მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების შესყიდვის ფუნქციები დაეკისრათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, დაევალოთ ცეკავშირის გამგეობას და საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს გადასცენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საფუთავი ქარხნები, სასაწყობო სადგომები და პავილიონები, სატრანსპორტო საშუალებანი, სასაწორო მეურნეობა, გარდა პროდუქტების საქონლური დამუშავებისა და გაგზავნისათვის გათვალისწინებული პუნქტებისა და საფუთავი ქარხნებისა, რომლებიც განლაგებულია იმ ტერიტორიაზე, სადაც გაგზავნის ფუნქციები რჩება სამომხმარებლო კოოპერაციას.

მიღება-გადაცემა მოხდეს დადგენილი წესის თანახმად:

სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა ქონება გადაეცემათ:

— საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციებს — უსასყიდლოდ, ბალანსიდან ბალანსზე;

— კოლმეურნეობებს— სასყიდლით.

სამომხმარებლო კოოპერაციის ქონება სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე კოლმეურნეობებს გადაეცემათ სასყიდლით.

6. სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების ინდივიდუალურ ჩამბარებლებთან შეუფერხებელი ანგარიშსწორების უზრუნველყოფის მიზნით დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას უზრუნველყოს ნაღდი ფულის გაცემა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო და სხვა ორგანიზაციების და მათი საწარმოების განაცხადების მიხედვით, რისთვისაც გახსნას სახელმწიფო ბანკის რაიონულ განყოფილებებში აღნიშნულ მეურნეობათა და საწარმოთა ცალკე მიმდინარე ანგარიშები, რომლებიდანაც სახსრები გასცეს მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ცეკავშირის გამგეობასთან ერთად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში დააწესოს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებისათვის მუშაკთა რიცხოვნობა, ხელფასის ფონდი და ზღვრული ასიგნებანი, რაც საჭიროა მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების შესყიდვის ფუნქციების განსახორციელებლად, ცეკავშირის დამამზადებელი ორგანიზაციების გაუქმებასთან დაკავშირებით განთავისუფლებული საშტატო რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და ზღვრულ ასიგნებათა ხარჯზე.

8. რჩევა მიეცეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს შეიმუშაოს რესპუბლიკის კოლმეურნეობებისათვის საშტატო რიცხოვნობის ტიპობრივი ნორმატივები მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების შესასყიდად.

9. ამ დადგენილებით გათვალისწინებული მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების შესყიდვის ღონისძიებათა წარმატებული განხორციელების მიზნით დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობასა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას ერთი თვის ვადაში ერთობლივად შეიმუშაონ და დაუგზავნონ დაინტერესებულ ორგანიზაციებს მითითებანი მოსახლეობისაგან პროდუქციის შესყიდვისა და ჩაბარებული სოფლის მეურნეობის პროდუქტებისათვის მათთან ანგარიშსწორების წესის შესახებ.

10. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მოსახლეობის დაინტერესება სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით, აგრეთვე გაუმჯობესდეს მათი ხარისხი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკასთან“ ერთად კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა საკარმიდამო ნაკვეთებზე აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების გეგმა და უზრუნველყოს მისი უცილობლივ შესრულება, ამასთან აღმოუჩინოს მოსახლეობას დახმარება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების განვითარების საქმეში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ მიიღონ ზომები მოსახლეობისათვის მისაყიდად შხამქიმიკატების, სასუქებისა და კომბინირებული საკვების ფონდების გასადიდებლად.

11. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას უზრუნველყოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაუბრკოლებელი მომარაგება საჭირო რაოდენობის ტარითა და ტარის მასალებით, ამასთან აღმოუჩინოს მათ ყოველმხრივი დახმარება მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის ორგანიზაციაში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოყოს გეგმაში ცალკე სტრიქონად სატრანსპორტო სახსრები იმ რაიონების კოლმეურნეობების, სახელმწიფო მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც გადადიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ახალ სისტემაზე.

დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განაცხადების მიხედვით სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოყენების გეგმაში ცალკე სტრიქონად ითვალისწინებს მომხმარებელთათვის მათ მიწოდებას, აგრეთვე საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ლიმიტებს.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ დაუბრკოლებლად მიაწოდონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მათი განაცხადების მიხედვით საავტომობილო ტრანსპორტი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადასაზიდად.

13. იმასთან დაკავშირებით, რომ კოლმეურნეებისაგან, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სხვა მოქალაქეებისაგან სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქციის შესყიდვის, სახალხო მეურნეობისათვის მისი მიწოდებისა და რეალიზაციის ფუნქციები გადაეცათ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამეურნეობათაშორისო გაერთიანებებსა და მათს საწარმოებს, 3-პროცენტიანი ანარიცხები დარჩეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განკარგულებაში, დამზადების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაფართოებლად.

14. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი რესპუბლიკის 1977 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის მაჩვენებლებში.

15. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაონ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა საკარმიდამო ნაკვეთებზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების, მათი შესყიდვის სწორი ორგანიზაციისა და სახელმწიფო რესურსებში მოქცევის ღონისძიებანი, მიიღონ გადაუდებელი ზომები მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის ახალი სისტემის მოსაწესრიგებლად და მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და რეალიზაციის სწორი ორგანიზაციისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად.

16. ამ დადგენილების განხორციელების საქმეში კონტროლის უზრუნველსაყოფად და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სსრ ქალაქებისა და რაიონების პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგა-ნოებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად შეიქმნას მთავრობის კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ზ. ბ. გელდიაშვილი (მოწვევა), ფ. ა. ანანიაშვილი, რ. ვ. ბასარია, რ. შ. გიორგობიანი, ვ. ს. ვეფხვაძე, ლ. ლ. ზაქაიძე, ა. ი. კიკნაველიძე, რ. ჰ. კონცელიძე, ლ. ი. სადუნაშვილი, კ. შ. სვანაძე, ი. ჯ. უბილავა, კ. ნ. შავიშვილი, კ. ს. ციმაკურიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, ნ. ა. ჭითანავა.

აღნიშნულმა კომისიამ ჩაატაროს საინსტრუქციო ზონალური და რაიონული თათბირები, რათა განუმარტოს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების პარტიულ-სამეურნეო აქტივს ამ დადგენილების განხორციელების მიზნები და პრაქტიკული გზები.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.** | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.** |

ქ. თბილისი, 1977 წ. 22 თებერვალი, № 165.

## საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

### 5 საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაციებში და სახალხო მეურნეობის სხვა ობიექტებზე სოციალისტური საკუთრების დაცვის საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ

იმ მიზნით, რომ განხორციელდეს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების შესახებ, აგრეთვე შეიქმნას ხელშემწყობი პირობები, რათა რესპუბლიკის მშრომელებმა წარმატებით შეასრულონ მეათე ხუთწლედის მეორე წლის დავალებანი და ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის წინადადება და ჩატარდეს 1977 წლის 20 მარტიდან 20 აპრილამდე საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრო-

მუხ. ბ ... ბიბლიოთეკა

ბის ორგანიზაციებში და სხვა ობიექტებზე სოციალისტური საკუთრების დაცვის მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერება.

2. დამტკიცდეს სოციალისტური საკუთრების დაცვის საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების თანდართული პირობები და წესი.

3. დაწესდეს, რომ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები, რომლებიც საუკეთესო მაჩვენებლებს მოიპოვებენ სოციალისტური საკუთრების დაცვის საზოგადოებრივ დათვალიერებაში, დაჯილდოვდებიან საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დიპლომებით, აგრეთვე ფულადი პრემიებით აღნიშნულ საწარმოთა და ორგანიზაციათა წახალისების ფონდების სახსრებიდან შემდეგი ოდენობით:

ერთი პირველი პრემია — 1.000 მანეთი;

ორი მეორე პრემია — 700-700 მანეთი;

სამი მესამე პრემია — 500-500 მანეთი.

4. სოციალისტური საკუთრების დაცვის საზოგადოებრივი დათვალიერების სახელმძღვანელოდ და მისი შედეგების შესაჯამებლად დამტკიცდეს რესპუბლიკური დამთვალიერებელი კომისიის შემდეგი შემადგენლობა:

1. ვ. ი. ვადაჭკორია — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);
2. ფ. ა. ანანიაშვილი — საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი;
3. გ. ი. გვეტაძე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე;
4. ა. ლ. გუნია — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;
5. ლ. გ. თალაკვაძე — საქართველოს სსრ პროკურორი;
6. ზ. ა. კვაჭაძე — საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
7. ო. ვ. მელქაძე — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე;
8. დ. ნ. მოსესოვი — თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი;
9. დ. ვ. მჭედლიშვილი — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი;
10. ი. ნ. ორჯონიკიძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი;
11. გ. ა. ცერცვაძე — „საქსოფლტექნიკის“ გორის რაიონული გაერთიანების სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

5. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებმა, რესპუბლიკურმა და ტერიტორიულმა კომიტეტებმა, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა დაუგზავნონ ეს დადგენილება საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს და უზრუნველყონ მუშათა, კოლმეურნეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსამსახურეთა, სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკთა ფართო მონაწილეობა სოციალისტური საკუთრების დაცვის საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარებაში და იმ მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც ხელს უწყობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებასა და განიავებას.

მასალები დათვალიერების შედეგების შესახებ და წინადადებანი საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების დაჯილდოების თაობაზე წარუდგინონ რესპუბლიკურ დამთვალიერებელ კომისიას დათვალიერების ჩატარების პირობებით განსაზღვრულ ვადებში და წესით.

6. რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა ფართოდ გააშუქონ სოციალისტური საკუთრების დაცვის საზოგადოებრივი დათვალიერების მიმდინარეობა.

7. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოაწყოს 1977 წლის 25 მარტიდან 10 აპრილამდე ქალაქ თბილისში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვის საშუალებათა გამოფენა.

8. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე
**ზ. პატარიძე.**

საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს
თავმჯდომარე
**თ. მოსაშვილი.**

საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
**ჟ. შარტავა.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 22 თებერვალი.

მეხ. 5

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 22 თებერვლის № 165 დადგენილებით

# პირობები და წესი

## სოციალისტური საკუთრების დაცვის საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარებისა

სოციალისტური საკუთრების დაცვის საზოგადოებრივი დათვალიერება ჩატარდება სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაციებში და სახალხო მეურნეობის სხვა ობიექტებზე 1977 წლის 20 მარტიდან 20 აპრილამდე.

საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების ძირითადი მიზანი ის არის, რომ ხელი შეუწყოს სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფას, შემდგომ გაძლიერდეს ბრძოლა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ხელყოფის წინააღმდეგ, შეიქმნას ხელსაყრელი პირობები, რათა რესპუბლიკის მშრომელებმა წარმატებით შეასრულონ მეათე ხუთწლედის მეორე წლის დავალებანი.

პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს მუშათა, კოლმეურნეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ფართო მონაწილეობას დათვალიერებაში, საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციას იმ მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უწყობენ სახალხო დოვლათის დატაცებასა და განიავებას.

დათვალიერების მსვლელობაში შესწავლილ უნდა იქნეს:

ობიექტების დაცვის მდგომარეობა, მცველთა რაოდენობისა და მათი შენახვის ხარჯების შემცირება დაცვის მეცნიერულ და ტექნიკურ საშუალებათა დანერგვის ხარჯზე, აღრიცხვის ყველა ფორმის დაყენება, მატერიალური ფასეულობებისა და ფულადი სახსრების შენახვის პირობები, დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ლიკვიდაციის ღონისძიებანი, მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა შესაბამისობა დაკავებული თანამდებობებისადმი, მატერიალურ ფასეულობათა დატაცების, მათ შორის წვრილმანი დატაცების, და უყაირათობის ფაქტებზე ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეაგირების ფორმები, იმ ღონისძიებათა ეფექტიანობა, რომლებიც ხორციელდება სოციალისტური საკუთრების დაცვის გაძლიერების მიზნით.

### დათვალიერების ორგანიზაცია და ჩატარება

დათვალიერების ჩატარებას წინ უნდა უძღოდეს ყოველმხრივი მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა მშრომელთა კოლექტივებში.

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვალიერების უშუალო ორგანიზაციისა და ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის შეიქმნება დამთვალიერებელი კომისიები: რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული, საწარმოებში, მშენებლობებზე, ორგანიზაციებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და სხვა ობიექტებზე.

სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, ორგანიზაციების, ტრანსპორტის, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების დამთვალიერებელი კომისიების შემადგენლობაში შევლენ მათი ხელმძღვანელები, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე, მოწინავე მუშები, კოლმეურნეები, ინჟინერტექნიკური მუშაკები, საგეგმო განყოფილებათა და ბუღალტერიათა მუშაკები, ამ კომისიების შემადგენლობას დაამტკიცებენ პროფკავშირთა შესაბამისი კომიტეტები, ხოლო კომისიის თავმჯდომარე იქნება საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო, რაიონულ დამთვალიერებელ კომისიებში შევლენ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ან მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მოადგილეები (კომისიების თავმჯდომარეები), პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების, სახალხო კონტროლის, შინაგან საქმეთა ორგანოების, პრესის, რადიოს, ტელევიზიის, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები, მოწინავე მუშები, კოლმეურნეები.

დათვალიერების ძირითადი ეტაპია მისი ჩატარება საწარმოში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, ორგანიზაციაში, საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში. დათვალიერების ჩატარების გეგმა, მისი პირობები და დამთვალიერებელი კომისიის შემადგენლობა გამოცხადდება საწარმოსადმი ან ორგანიზაციისადმი გამოცემულ ბრძანებაში, რომელიც გაეცნობა მთელ კოლექტივს. მუშაობის პირობების შესაბამისად, დამთვალიერებელ კომისიაში შეიძლება შეიქმნას ჯგუფები, რომელთაგან თითოეული შეისწავლის საწარმოს ან ორგანიზაციის საქმიანობის გარკვეულ უბანს.

სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, ტრანსპორტის, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების დამთვალიერებელ კომისიათა მუშაობა მთლიანად უნდა დამთავრდეს 1977 წლის 20 მარტიდან 20 აპრილამდე პერიოდში, მისი შედეგები განხილულ უნდა იქნეს პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სახალხო კონტროლის ჯგუფის გაერთიანებულ სხდომაზე ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით. გაწეული მუშაობის შედეგების ფართო განხილვის შედეგად უნდა გამოვლინდეს დადებითი მომენტები სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფის საქმეში, გამოაშკარავდეს ნაკლოვანებანი და განხორციელდეს ღონისძიებანი მათი უსწრაფესად აღმოფხვრისათვის.

დამთვალიერებელი კომისიები განახორციელებენ ხელმძღვანელობას დათვალიერების ჩატარებისადმი ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე, კონტროლს გაუწევენ საწარმოთა და ორგანიზაციათა დამთვალიერებელი კომისიების მუშაობას, შეიმუშავებენ და

მეხ. 5

შეიტანენ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებისა და სხვა ორგანოების განსახილველად წინადადებებს სოციალისტური საკუთრების დაცვის გაძლიერებისათვის და არა უგვიანეს 1977 წლის 30 აპრილისა წარუდგენენ რესპუბლიკურ დამთვალიერებელ კომისიას დაწვრილებითს ინფორმაციას ავტონომიურ რესპუბლიკაში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქში, რაიონში დათვალიერების შედეგების შესახებ. წარდგინებებში უნდა გაშუქდეს სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ბრძოლის დადებითი გამოცდილება, გამოვლინებული ნაკლოვანებანი, მათი აღმოფხვრის ღონისძიებანი, დასაბუთებული წინადადებანი მოწინავე საწარმოთა და ორგანიზაციათა დაჯილდოების შესახებ. ამავე დროს უნდა გამოითქვას წინადადებანი სახალხო დოვლათის დატაცებისა და განიავებისათვის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად რესპუბლიკური მასშტაბით კონკრეტული ზომების მიღების შესახებ.

რესპუბლიკური დამთვალიერებელი კომისია შეაჯამებს დათვალიერების საბოლოო შედეგებს, განსაზღვრავს მის გამარჯვებულებს და 1977 წლის 25 მაისისათვის თავის წინადადებებს მოახსენებს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს.

## დათვალიერების ძირითადი პირობები და გამარჯვებულთა წახალისების ღონისძიებანი

სოციალისტური საკუთრების დაცვის დათვალიერების გამარჯვებულად ჩაითვლება საწარმოს, მშენებლობის, ორგანიზაციის, ტრანსპორტის, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის კოლექტივი, რომელმაც 1976 წელს მიაღწია:

— მატერიალური ფასეულობებისა და ფულადი სახსრების დანაკარგების, დატაცებისა და დანაკლისის ლიკვიდაციას;

— გაშვება-გატარების სისტემის ზუსტ ორგანიზაციას, ობიექტების დაცვის მეცნიერულ და ტექნიკურ საშუალებათა ფართოდ გამოყენებას, მცველთა რაოდენობისა და მათი შენახვის ხარჯების შემცირებას;

— სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვისა და გამოყენების დროს უყაირათობის ფაქტების აღმოფხვრას;

— აღრიცხვის ყველა ფორმის სანიმუშოდ დაყენებას;

— დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ლიკვიდაციას;

— მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე კადრების სწორად შერჩევასა და განაწილებას;

— საზოგადოებრიობის აქტიურ მონაწილეობას უყაირათობის, დანაკლისის, დატაცების, მათ შორის წვრილმანი დატაცების, წინააღმდეგ ბრძოლაში;

— სოციალისტური საკუთრების დაცვის გასაძლიერებლად საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისათვის პროპაგანდისა და აგიტაციის საშუალებათა ფართოდ გამოყენებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვალიერების შედეგების შეჯამებისა და მისი გამარჯვებულების განსაზღვრის დროს რესპუბლიკურმა დამთვალიერებელმა კომისიამ მხედველობაში უნდა მიიღოს ამ პირობებით გათვალისწინებული ინფორმაციების წარდგენის დროულობა, მათი სისრულე, დატაცებისა და დანაკლისის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების ანალიზის სისწორე, აგრეთვე არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელება დათვალიერების მსვლელობაში და ამის მეოხებით მიღწეული ეკონომიკური ეფექტი.

რესპუბლიკური დათვალიერების გამარჯვებულებს გადაეცემათ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დიპლომები.

დათვალიერების გამარჯვებულთა წასახალისებლად დაწესებულია ექვსი პრემია, მათ შორის:

ერთი პირველი პრემია — 1.000 მანეთი;

ორი მეორე პრემია — 700-700 მანეთი;

სამი მესამე პრემია — 500-500 მანეთი.

პრემიები გადაეცემათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით.

---

## 6 **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 2 ნოემბრის № 894 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ**

„ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის დაფინანსებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 2 ნოემბრის № 894 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 2 ნოემბრის № 894 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა მე-2

პუნქტის მეორე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 27 სექ-ტემბრის № 880 დადგენილებისა „ჰიპოფიზარული ნანიზმით დაავადებულ მოქალაქეთა (ლილიპუტთა) მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 25 ოქტომბრის № 1471 განკარგულებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 3 იანვარი, № 4.

## 7 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 2 ნოემბრის № 893 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩეთვლის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 2 ნოემბრის № 893 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 1 ოქტომბრის № 906 დადგენილება „საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში ორგანული სასუქების გამოყენების გადიდების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 20 სექტემბრის № 1390 განკარგულება;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 4 დეკემბრის № 912 დადგენილება „გეოლოგიურ-საზვერი სამუშაოების დაგეგმვისა და წარმოების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 6 იანვარი, № 15.

**8** **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 5 ნოემბრის № 914 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ**

„სოფლის მეურნეობის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების, წყალთა მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის დაფინანსებისა და დაკრედიტების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 5 ნოემბრის № 914 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 14 აპრილის № 320 დადგენილება „რწყვის ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 3 ივნისის № 481 დადგენილება „საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხანგრძლივ შესანახად გამოსადეგი ბოსტნეულის გამოყვანის ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 6 იანვარი, № 16.

**9** **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 21 ოქტომბრის № 859 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ**

„მიწათმოქმედების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 21 ოქტომბრის № 859 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 6 იანვარი, № 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 6 იანვრის № 17
დადგენილებით

## ნ უ ს ხ ა

### საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 21 ოქტომბრის № 859 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. მე-3 და მე-5 პუნქტები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 6 იანვრის № 12 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში კარტოფილის მეთესლეობის გაუმჯობესების შესახებ“.

2. მე-3, მე-4, მე-5, მე-16 და მე-17 პუნქტები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 14 მარტის № 308 დადგენილებისა „მარცვლეული კულტურების მეთესლეობის გაუმჯობესების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 2 აპრილის № 237 დადგენილება „1947 წლისათვის ბამბის ჯიშების დარაიონების შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 27 მარტის № 301 დადგენილება „მეთესლეობის რაიონულ მეურნეობათა ქსელის გადასინჯვის შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 4 სექტემბრის № 1203 დადგენილება „1952 წელს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში სოიის ჯიშიანი ნათესების შესახებ“

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 6 მაისის № 557 დადგენილება „კოლმეურნეობებში მარცვლეულ პარკოსანი კულტურების წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“, 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის გარდა.

7. მე-9 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 19 ივნისის № 292 დადგენილებისა „მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების და ბალახთა მეთესლეობის გაუმჯობესების შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 10 საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს დებულებისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სადაბო საბჭოს აღმასკომის კომუნალურ საწარმოთა განყოფილების (სამმართველოს, კომბინატის) სანიმუშო დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

„რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 18 ივნისის № 361 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს დებულებასა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სადაბო საბჭოს აღმასკომის კომუნალურ საწარმოთა განყოფილების (სამმართველოს, კომბინატის) სანიმუშო დებულებაში შემდეგი ცვლილებანი:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 10 სექტემბრის № 504 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს დებულების მე-6 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ს) განიხილავს და დაამტკიცებს უშუალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ანგარიშებს და ბალანსებს; განახორციელებს ხელმძღვანელობას საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგებისადმი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საბინაო-კომუნალური მეურნეობის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში; შეადგენს სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიხედვით კრებსით სტატისტიკურ და ფინანსურ ანგარიშებსა და ბალანსებს; მოაწყობს მუშაობას პირველადი აღრიცხვის შემდგომი გამარტივებისა და სრულყოფისათვის საანგარიშო ტექნიკის უახლეს საშუალებათა ფართოდ დანერგვით; ცენტრალიზებულს გახდის საკონტროლო-სარევიზიო აპარატს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფად, რომელსაც ეწოდება საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველო, გარდა ამ აპარატებისა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქ. თბილისსა და ქუთაისში, სადაც შექმნის საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მთავარი კონტროლიორ-რევიზორის აპარატს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქ. თბილისსა და ქუთაისში, რომლებიც დაექვემდებარებიან საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს; ჩაატარებს სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებს წელიწადში ერთხელ მაინც; უზრუნველყოფს სამინისტროს სისტემის საწარმოებში, ორგანიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციებსა და დაწესებულებებში სოციალისტური სახელმწიფო საკუთრების დაცვას და მისდამი მზრუნველობით დამოკიდებულებას.

სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო აპარატი შეიქმნება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დამტკიცებული მმართველობის პერსონალის საშტატო რიცხოვნობის, ხელფასის თვიური ფონდისა და ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში".

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 11 მარტის № 181 დადგენილებით დამტკიცებული მშრომელთა დეპუტატების საბჭოს (რაიონული, საქალაქო, სადაბო) აღმასკომის კომუნალურ საწარმოთა განყოფილების (სამმართველოს, კომბინატის) სანიმუშო დებულების მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. განყოფილების (სამმართველოს, კომბინატის) და მისდამი დაქვემდებარებული ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებს ატარებენ საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველო და სხვა ორგანოები კანონის შესაბამისად".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 8 იანვარი, № 20.

## 11 განსაკუთრებით საშიშ მიწისქვეშა პირობებში სამუშაოებზე დასაქმებულ მუშაკთა დისციპლინის წესდების მოქმედების გავრცელების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ იმ მიწისქვეშა სამუშაოთა მოცულობის გადიდებასთან დაკავშირებით, რომელთაც რესპუბლიკის სამთამადნო საწარმოები და სამშენებლო ორგანიზაციები ასრულებენ მაღალმწარმოებლური ტექნიკის გამოყენებით რთულ სამთო-გეოლოგიურ პირობებში, როცა სულ უფრო იზრდება დამუშავების სიღრმე და სამთო წნევა, განსაკუთრებით საშიშ მიწისქვეშა პირობებში სამუშაოებზე დასაქმებულ მუშაკებს მოეთხოვებათ მაღალი ორგანიზებულობა, დისციპლინა, ოპერატიულობა და კეთილსინდისიერი დამოკიდებულება მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისადმი, უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და ნორმების ზუსტი დაცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით საშიშ მიწისქვეშა სამუშაოებზე დასაქმებული მუშაკების მიერ თავიანთ მოვალეობათა უცილობლივ შესრულების უზრუნველყოფის და ავარიების, უბედური შემთხვევების მიზეზების, სოციალისტური საკუთრების დაღუპვისა და დაზიანების, დაწესებული სახელმწიფო გეგმების შესრულების ვადების ჩაშლის თავიდან აცილების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 30 ნოემბრის № 974 დადგენილებით დამტკიცებული განსაკუთრებით საშიშ მიწისქვეშა პირობებში შესასრულებელ სამუშაოებზე დასაქმებულ მუშაკთა დისციპლინის წესდების მოქმედება გავრცელდეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებზე, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 20 იანვარი, № 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 20 იანვრის № 41 დადგენილების დანართი

## ნ უ ს ხ ა

**საწარმოებისა, რომლებზეც ვრცელდება განსაკუთრებით საშიშ მიწისქვეშა პირობებში შესასრულებელ სამუშაოებზე დასაქმებულ მუშაკთა დისციპლინის წესდების მოქმედება**

1. საქართველოს ქვანახშირის საწარმოო გაერთიანების ყველა შახტი.
2. ჭიათურის მარგანეცის სამთამადნო კომბინატის ყველა მაღარო.
3. კვაისის ტყვია-თუთიის მაღაროთსამმართველოს მაღაროები.
4. საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის" ყველა მაღარო (მიწისქვეშა გვირაბებითურთ).
5. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ყველა მაღარო (მიწისქვეშა გვირაბებითურთ).
6. სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს „საქთალკის" ქარხნის მაღაროები.
7. ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სამმართველოს გვირაბები.
8. „საქჰიდროენერგომშენის" ტრესტის გვირაბები.
9. „საქშახტმშენის" № 7 ტრესტის გვირაბები.
10. „ინქმშენის" ტრესტის გვირაბები.
11. „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს გვირაბები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 12 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 11 მარტის № 115 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს წინადადება და „ხელით სამართავი ავტომობილებით ინვალიდთა უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 11 მარტის № 115 დადგენილება შეიცვალოს შემდეგნაირად:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს სამამულო ომისა და სხვა სამხედრო ინვალიდთა შორის „ზაპოროჟეცის" მარკის ხელით სამართავი ავტომობილებისა და მოტოეტლების გასანაწილებლად შექმნან კომისიები შემდეგი შემადგენლობით:

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებში:

მინისტრის, პროფკავშირის წარმომადგენლის, სამხედრო კომისრისა და ექსპერტი ექიმის შემადგენლობით:

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში:

სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგის, პროფკავშირის წარმომადგენლის, სამხედრო კომისრისა და ექსპერტი ექიმის შემადგენლობით.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებში, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში შექმნილმა კომისიებმა ინვალიდთა შორის „ზაპოროჟეცის" მარკის ხელით სამართავი ავტომობილებისა და მოტოეტლების განაწილებისას იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 30 დეკემბრის № 626 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციით და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 18 აპრილის № 304 დადგენილებით.

3. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ მისთვის ავტომანქანების გამოყოფილი ფონდიდან 1977 წლიდან გამოუყოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას ხელით სამართავი ავტომობილები და მოტოეტლები სამამულო ომისა და სხვა სამხედრო ინვალიდებისათვის მისაცემად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 20 იანვარი, № 42.

მუხ. 13
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 13 სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთების გაცემის თაობაზე შუამდგომლობათა აღძვრისა და განხილვის წესის და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მათი გამოყოფის წესის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მიწის კოდექსის მე-13 და მე-40 მუხლების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთების გაცემის თაობაზე შუამდგომლობათა აღძვრისა და განხილვის წესის და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მათი გამოყოფის წესის შესახებ.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახმშენს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, საპროექტო ორგანიზაციებსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს მტკიცედ იხელმძღვანელონ სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთების გაცემის თაობაზე შუამდგომლობათა აღძვრისა და განხილვის წესის და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მათი გამოყოფის წესის დებულებით.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 აპრილის № 230 დადგენილებით დამტკიცებული დებულება სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის მიწების გამოყოფის საკითხებზე შუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 27 იანვარი. № 59.

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 27 იანვრის № 59
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთების გაცემის თაობაზე შუამდგომლობათა აღძვრისა და განხილვის წესის და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მათი გამოყოფის წესის შესახებ

### I. მიწის ნაკვეთის გაცემის თაობაზე შუამდგომლობის შეტანის წესი

1. სამინისტროები, უწყებები, ცენტრალური რესპუბლიკური დაწესებულებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებული არიან მათი სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფით, ამის შესახებ შუამდგომლობას გაუგზავნიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომს (მიწების ადგილმდებარეობის მიხედვით). შუამდგომლობა ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების იმ მიწებიდან ნაკვეთების გაცემის შესახებ, რომლებიც კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიწათსარგებლობის შემადგენლობაში არ შედის, აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდიდან და სახელმწიფო მიწის მარაგიდან ნაკვეთების გაცემის შესახებ, აღიძვრება მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საქალაქო და სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

2. შუამდგომლობაში სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთის გაცემის შესახებ აღნიშნული უნდა იყოს მიზანი, რომლისთვისაც იგი სჭირდებათ, გამოთხოვილი ნაკვეთის ფართობი და ადგილმდებარეობა, ამასთან უნდა ერთვოდეს სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთის გაცემის აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძოდ, წარდგენილ უნდა იქნეს დოკუმენტი იმ გადაწყვეტილებიდან, რომ მშენებლობა გათვალისწინებულია სახალხო-სამეურნეო გეგმით.

სასარგებლო წიაღისეულთა დასამუშავებლად მიწების გამოყოფის შემთხვევაში თან დაერთვის სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოების დასკვნა წიაღისეულთა მარაგის არსებობის შესახებ და თანხმობა მათი დამუშავებისათვის.

3. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომი 10 დღის ვადაში განიხილავს განაცხადს და მიწების გამოყოფის საჭიროებისას დანიშნავს მიწის ნაკვეთის შემრჩევ კომისიას შემდეგი შემადგენლობით: რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე (კომისიის თავჯდომარე), რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ინჟინერ-მიწათმომწყობი, რაიონის არქიტექტორი, ბუნების დაცვის, სანიტარიული და სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების, ხოლო საჭიროების კვალობაზე — საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ქსელებისა და კომუნიკაციების ექსპლუატაციის ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის შემადგენლობაში შევლენ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭოს წარმომადგენლები, მიწის ნაკვეთის მიცემით დაინტერესებული საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების, იმ მეურნეობის ხელმძღვანელები, რომლიდანაც გათვალისწინებულია მიწების გამოყოფა, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს წარმომადგენლები (როცა მიწების გამოყოფა გათვალისწინებულია მათ ტერიტორიაზე).

იმ შემთხვევაში, როცა მიწის ნაკვეთის გამოყოფა ნავარაუდევია სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან, კომისიის შემადგენლობაში შევლენ სატყეო მეურნეობის ორგანოთა წარმომადგენლები, ხოლო როცა მიწის ნაკვეთის გამოყოფა ნავარაუდევია მელიორირებული მიწებიდან, კომისიის შემადგენლობაში შევლენ საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საექსპლუატაციო ორგანოთა წარმომადგენლები.

მიწის ნაკვეთების შერჩევისა და გამოყოფის და მშენებლობის ობიექტებისა და სხვა არასასოფლოსამეურნეო საჭიროებისათვის მიწების გამოყოფასთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოთა განხორციელებისათვის აუცილებელ მასალებს გააფორმებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომები და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „საქსახმიწპროექტი" იმ სახსრების ხარჯზე, რომლებსაც იხდიან საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები ხელშეკრულებების მიხედვით შესრულებული სამუშაოებისათვის.

„საქსახმიწპროექტის" ინსტიტუტს ნება ეძლევა საჭირო შემთხვევებში მიიწვიოს აღნიშნულ სამუშაოთა შესასრულებლად შესაბამისი რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოთა უფროსი (მთავარი) ინჟინერ-მიწათმომწყობები.

მიწის ნაკვეთის შერჩევის სამუშაოთა შესრულების ვადა ფართობისა და ობიექტის სირთულის შესაბამისად განისაზღვრება 15 დღემდე, ხოლო განსაკუთრებით რთული და დიდი ობიექტებისათვის — ერთ თვემდე.

4. მიწის ნაკვეთის შერჩევისას კომისია, ხელმძღვანელობს რა რაიონული დაგეგმარების, შინასამეურნეო მიწათმოწყობის სქემებით (პროექტებით), დასახლებული პუნქტების განაშენიანების გენერალური გეგმებით, ნიადაგების გამოკვლევისა და მიწების შეფასების მასალებით:

— გაითვალისწინებს, რომ სამრეწველო საწარმოების, საცხოვრებელი ობიექტების, რკინიგზებისა და საავტომობილო გზების, ელექტროგადამცემი ხაზების, მაგისტრალური მილსადენების მშენებლობისათვის, აგრეთვე სხვა არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის გაიცემა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ან სოფლის მეურნეობისათვის უვარგისი მიწები, ანდა ცუდი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან, უპირატესად ტყით დაუფარავი ფართობების ან ბუჩქნარითა და ნაკლებფასოვანი ნარგავებით დაკავებული ფართობების ხარჯზე;

— გაითვალისწინებს, რომ საჭიროა მაქსიმალურად იქნეს შენარჩუნებული ძვირფასი პროდუქტიული სავარგულები და მეურნეობათა ტერიტორიის არსე-

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ორგანიზაცია, შეწყდეს ეროზიული პროცესები, მიწების დაჭაობება, აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი იმ მეურნეობათა მიწათსარგებლობაში, რომლებიდანაც გამოიყოფა მიწები, აგრეთვე რაც შეიძლება მიზანშეწონილად იქნეს გამოყენებული მიწების გაუმჯობესებისათვის, სარწყავი (საშრობი) ქსელების მშენებლობისა და სხვა მიზნებისათვის დახარჯული კაპიტალური დაბანდებანი.

სასოფლო-სამეურნეო მიწებზე სამრეწველო ობიექტები და კომუნიკაციები იმგვარად უნდა განლაგდეს, რომ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა მოხერხებულად გამოიყენონ მათთვის დარჩენილი მიწები.

5. ობიექტების განსალაგებლად მიწის ნაკვეთები შეირჩევა რამდენიმე ვარიანტად, რომელთა საზღვრები აღინიშნება შესაბამისი მეურნეობის მიწათსარგებლობის გეგმის ასლზე, განისაზღვრება ნაკვეთის საერთო ფართობი და მისი სავარგულების შემადგენლობა თითოეული ვარიანტისათვის ცალ-ცალკე. გეგმის ასლზე აღინიშნება წინათ არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის, აგრეთვე შინასამეურნეო მშენებლობისათვის გამოყოფილი ყველა ნაკვეთის საზღვრები. გეგმის ასლი დამოწმდება რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი (მთავარი) ინჟინერ-მიწათმომწყობის, რაიონის (ქალაქის) არქიტექტორის, მეურნეობის ხელმძღვანელის (კოლმეურნეობის თავმჯდომარის, საბჭოთა მეურნეობის დირექტორის და სხვ.) და მიწის ნაკვეთის გამოყოფით დაინტერესებული საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების წარმომადგენლის ხელმოწერით. გეგმის ასლზე ყველა ხელმოწერა დამოწმდება სოფლის მეურნეობის რაიონული (საქალაქო) სამმართველოს ბეჭდით.

6. კომისიის მუშაობის შედეგები გაფორმდება აქტით, რომელშიც აღინიშნება:

ა) კომისიის შემადგენლობა;

ბ) მიწის ნაკვეთების დახასიათება სავარგულების მიხედვით, სადაც აღინიშნება მიწების პროდუქტიულობა (უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში);

გ) მიწის ნაკვეთებზე არსებული შენობა-ნაგებობანი, სარწყავი და საშრობი არხები და სხვა ობიექტები, მრავალწლოვანი ნარგავები, მათი საბალანსო ღირებულება და მიწების გამოყოფასთან დაკავშირებით მეურნეობათა ზარალის, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების საორიენტაციო თანხა;

დ) წინასწარი გაანგარიშებანი იმ ობიექტის განლაგების ყველაზე მიზანშეწონილი ვარიანტის შესადარებლად და შესარჩევად, რომლისთვისაც გამოთხოვილია მიწის ნაკვეთი;

ე) კომისიის დასკვნა ოპტიმალური ვარიანტისა და ნაკვეთზე ობიექტის განლაგების პირობების შესახებ.

7. მიწის ნაკვეთის შერჩევის აქტი შედგება ოთხ ეგზემპლარად, გაფორმდება კომისიის თავმჯდომარისა და ყველა წევრის ხელმოწერით, დამოწმდება რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის ბეჭდით და თითო ეგზემპლარი მიეცემა მიწების გამოყოფით დაინტერესებულ საწარმოს, ორგანიზაციასა და და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესებულებას, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს (როცა მიწების გამოყოფა გათვალისწინებულია მათ ტერიტორიაზე), ხოლო 2 ეგზემპლარი — რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს შემდგომი გაფორმებისათვის.

8. ნაკვეთის ადგილმდებარეობის ყველაზე მიზანშეწონილ ვარიანტსა და მისი გამოყოფის პირობებს შეათანხმებენ (დასკვნის სახით) მიწების გამოყოფით დაინტერესებული საწარმო, ორგანიზაცია — შესაბამისად — კოლმეურნეობის საერთო კრება (რწმუნებულთა კრება), საბჭოთა მეურნეობის, სატყეო მეურნეობის დირექტორი, ნაკვეთით მოსარგებლე საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ხელმძღვანელი, რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველო, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო (როცა მიწების გამოყოფა ხდება მათ ტერიტორიაზე), სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი, სამინისტრო, უწყება, რომელსაც ექვემდებარება მიწათმოსარგებლე, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სახმშენი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშენებლობის საქმეთა განყოფილება (როცა მიწების გამოყოფა გათვალისწინებულია მათ ტერიტორიაზე), ხოლო რესპუბლიკის სხვა რაიონებში და კურორტებისა და დასვენების ზონების ტერიტორიაზე, შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიანი ზონის ჩათვლით, — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი და სხვა ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებსაც შეეხება მიწების ნავარაუდევი გამოყოფა.

ახალ სანატორიულ-საკურორტო და დასასვენებელ დაწესებულებათა მშენებლობისა და მოქმედ დაწესებულებათა გაფართოებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფამდე მათი ადგილმდებარეობის საკითხი გადაწყდება „კურორტების ტერიტორიის და დასვენების ზონების განაშენიანებისა და სანატორიულ-საკურორტო, დასასვენებელ დაწესებულებათა მშენებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 აგვისტოს № 723 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 1 ოქტომბრის № 534 დადგენილებების შესაბამისად.

თუ მიწის ნაკვეთების გამოყოფა ხდება საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის რკინიგზებისა და საავტომობილო გზების მიმდებარე ტერიტორიებზე, აგრეთვე დიდი მდინარეებისა და წყალსატევების მახლობლად, საჭიროა — შესაბამისად — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის დასკვნა (შეთანხმება).

9. რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი განიხილავს ნაკვეთის შერჩევის მასალებს, მიიღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ადგილმდებარეობის შეთანხმების შესახებ და მთელ მასალებს გაუგზავნის — შესაბამისად — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს,

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს იმ შემთხვევებში, როცა მიწების გამოყოფა გათვალისწინებულია მათ ტერიტორიაზე, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, როცა მიწების გამოყოფა გათვალისწინებულია სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან, დასკვნისათვის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების პროექტის მოსამზადებლად. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი განიხილავენ ნაკვეთის შერჩევის მასალებს, მიიღებენ გადაწყვეტილებას ობიექტის ადგილმდებარეობის შეთანხმების შესახებ და გაუგზავნიან მთელ მასალებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს (როცა ნაკვეთის გამოყოფა გათვალისწინებულია სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან).

10. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი განიხილავენ მასალებს, დაამტკიცებენ მიწის ნაკვეთის შერჩევის აქტებს (მინისტრის ან კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებით), თუ ნაკვეთის გამოყოფა გათვალისწინებულია არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწებიდან ან ნაკლებფასოვანი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან, და მისცემენ მიწის ნაკვეთის გამოყოფით დაინტერესებულ საწარმოს, ორგანიზაციასა და დაწესებულებას დაპროექტების ნებართვას, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა გამოყოფა შეეხება ძვირფას სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს (სახნავი, მრავალწლოვანი ნარგავები, საკარმიდამო ნაკვეთები), 15 დღის ვადაში წარუდგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავიანთ დასკვნებს ამ საკითხზე ნებართვის პროექტითურთ.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო განიხილავს ნაკვეთის შერჩევის მასალებს, როცა შეტანილ იქნება წინადადება სახნავი მიწის, მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული ნაკვეთების, საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფის თაობაზე, და მოიწონებს წინადადებას ნაკვეთის შერჩევის შესახებ ანდა უარყოფს მას. თუ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მოიწონებს მიწის ნაკვეთის შერჩევას, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ან შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი მისცემს მიწის ნაკვეთის გამოყოფით დაინტერესებულ საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას დაპროექტების ნებართვას.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება, აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებები მიწის ნაკვეთის შერჩევის აქტის დამტკიცების შესახებ და დაპროექტების ნებართვის გაცემა არ წარმოადგენს საფუძველს მიწების გამოყენებისათვის.

მეურნეობებს, რომლებისგანაც გათვალისწინებულია მიწების გამოყოფა, უფლება არა აქვთ გასწიონ კაპიტალური დაბანდებანი გამოყოფისათვის განკუთვნილ ნაკვეთებზე (მიწის ნაკვეთის შერჩევის აქტის დამტკიცების შემდეგ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II. მიწის გამოყოფის თაობაზე მასალების მომზადებისა და გაფორმების წესი

13. მშენებლობის პროექტის დამტკიცებისა და მის განსახორციელებლად სახსრების გამოყოფის შემდეგ საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები მიწის ნაკვეთის გამოყოფის გასაფორმებლად შეიტანენ განაცხადებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომში მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის მიხედვით.

განაცხადს თან დაერთვის:

— მიწის ნაკვეთის შერჩევის მასალები;

— ობიექტის გენერალური გეგმის ასლი, რომელზეც აღინიშნება განაშენიანების რიგითობა;

— სატიტულო სიის ამონაწერი მშენებლობის დაფინანსების შესახებ;

— ცნობა მიწების გამოყოფასთან დაკავშირებით მიწათმოსარგებლეთათვის მიყენებული ზარალის, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ასანაზღაურებელი, გამოყოფილის ნაცვლად ახალი მიწების ასათვისებელი და სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში მიწების მოყვანის (რეკულტივაციის) ხარჯების დასაფარავი სახსრების არსებობის შესახებ.

თუ მიწის ნაკვეთები გამოიყოფა ღია წესით სასარგებლო წიაღისეულის დასამუშავებლად ან ნიადაგის საფარის დარღვევასთან დაკავშირებული მშენებლობისათვის, ამავე დროს წარდგენილ იქნება მიწების რეკულტივაციის პროექტი.

სოფლის მეურნეობაში გამოყენებული მიწების გამოყოფა არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის ხდება მათი ფაქტიური აუცილებლობის კვალობაზე და, როგორც წესი, მათზე მოწეული მოსავლის აღების შემდეგ.

14. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი არა უგვიანეს 10 დღის ვადაში განიხილავს განაცხადს და გაუგზავნის მას „საქსახმიწპროექტის" ინსტიტუტს მიწების გამოყოფის მასალების გაფორმების სამუშაოთა შესასრულებლად.

ამ სამუშაოთა შესრულების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებით, რომელსაც საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება დაუდებს „საქსახმიწპროექტის" ინსტიტუტს (ორ თვემდე ფარგლებში).

15. მიწის ნაკვეთის შერჩევისა და ნატურაში მისი გამოკვლევის მასალების საფუძველზე „საქსახმიწპროექტის" ინსტიტუტი შეადგენს მიწის ნაკვეთის გამოყოფის პროექტს, რისთვისაც გამოიყენებს მეურნეობის მიწათსარგებლობის გეგმის ასლს და მე-13 პუნქტში აღნიშნულ მასალებს.

საჭიროების კვალობაზე შედგება მიმოხილვითი კარტოგრაფიული მასალა უფრო წვრილი მასშტაბით.

16. იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა მიწების დამატებით გამოყოფა არსებული ობიექტებისათვის, რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველო დეტალურად გამოიკვლევს ადრე გამოყოფილ მიწებს, შეამოწმებს მათს გამოყენებას პირდაპირი დანიშნულებით, აგრეთვე გამოყენებული მიწების რეკულტივაციის სამუშაოთა მდგომარეობას (საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 45-ე მუხლი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღია წესით სასარგებლო წიაღისეულის დასამუშავებლად, აგრეთვე მაგისტრალური გზების, არხებისა და სხვა ობიექტების მშენებლობისათვის მიწები დამატებით გამოიყოფა, როგორც წესი, მას შემდეგ, რაც წინათ დროებითი სარგებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები მოყვანილ იქნება სოფლის მეურნეობაში გამოყენებისათვის ვარგის მდგომარეობაში და დაუბრუნდება წინანდელ მიწათმოსარგებლეებს.

17. ტყით დაფარული მიწის ნაკვეთის გამოყოფისას, მეურნეობის დაქვემდებარების მიუხედავად, მასალებს თან დაერთვის ნაკვეთის ტექნიკური გამოკვლევის აქტი (სატაქსაციო დახასიათება) და ამ ნაკვეთის გეგმის ამონახაზი.

18. მიწის ნაკვეთის გამოყოფის თაობაზე სამიწათმოწყობო საქმე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზარალისა და დანაკარგების განსაზღვრის აქტებით, აგრეთვე მიწების გამოყოფასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი ცნობითა და ახსნა-განმარტებითი ბარათითურთ კოლმეურნეობებში წარედგინება კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) განსახილველად, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში, სატყეო მეურნეობებსა და სხვა მეურნეობებში — საბჭოთა მეურნეობის, სატყეო მეურნეობის დირექციას, მეურნეობის ხელმძღვანელობას, რომლებიც არა უგვიანეს 10 დღის ვადაში მიიღებენ თავიანთ გადაწყვეტილებას.

კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) კრების ოქმის ნომერი და მისი ჩატარების თარიღი;

ბ) კოლმეურნეობის რამდენი წევრი (რწმუნებული) ესწრებოდა კრებას კოლმეურნეობის წევრთა (რწმუნებულთა) საერთო რაოდენობიდან;

გ) ვის, რა საჭიროებისათვის და რა ვადით (მუდმივი თუ დროებითი სარგებლობისათვის) გამოეყოფა ნაკვეთი;

დ) კოლმეურნეობისათვის ასანაზღაურებელი ზარალის, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ოდენობა;

ე) საერთო ფართობი, რაც გაშიფრული უნდა იყოს სავარგულების მიხედვით;

ვ) თუ ნაკვეთის გამოყოფისას გათვალისწინებულია მოსახლეობის გადაყვანა, მაშინ განისაზღვრება კომლების რაოდენობა, მათი გადაყვანის, საზოგადოებრივი ნაგებობებისა და მოქალაქეთა სახლების გადატანის პირობები, გადატანის ადგილი და რა მიწების ხარჯზე მიეცემათ ამ მოქალაქეებს ახალი საკარმიდამო ნაკვეთები.

საბჭოთა მეურნეობების, სატყეო მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების მიერ წარდგენილ დასკვნებში აღინიშნება ამ პუნქტის „გ", „დ", „ე" და „ვ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები.

19. მასალები მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) გადაწყვეტილებითურთ ან საბჭოთა მეურნეობის, სატყეო მეურნეობის დირექციის, სხვა მეურნეობათა ხელმძღვანელობის დასკვნითურთ წარედგინება რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს, ხოლო სახელმწიფო ტყის ფონდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაზით — რაიონულ სატყეო მეურნეობას დასკვნისათვის და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის განსახილველად წარდგენისათვის.

რაიონული საბჭოს აღმასკომი მიწის ნაკვეთის გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მთელ მასალას თავისი გადაწყვეტილებითურთ გაუგზავნის — შესაბამისად — აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს, ხოლო თუ ნაკვეთის გამოყოფა სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან ხდება, მაშინ მასალა გაეგზავნებათ სატყეო მეურნეობის შესაბამის ორგანოებს.

ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროები და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტები, ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის სამმართველოები 10 დღის ვადაში განიხილავენ მასალებს და თავიანთი დასკვნებითურთ წარუდგენენ განსახილველად შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს.

20. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი მიწების გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მასალებს გაუგზავნიან — შესაბამისად — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს.

21. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო მიწების გამოყოფის საკითხს შეუთანხმებს დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს (რომლებიც დასკვნას მისცემენ არა უგვიანეს 10 დღის ვადაში), მოამზადებს თავის დასკვნასა და წინადადებებს მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ და სამიწათმომწყობო საქმეს მთელი მასალებითა და დადგენილების პროექტითურთ წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისადმი დაქვემდებარებული მეურნეობების სარგებლობიდან მიწის ნაკვეთების გამოყოფისას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო მასალებს გაუგზავნის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს და მათგან დასკვნის მიღების შემდეგ წარუდგენს მასალებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი აგრეთვე მოამზადებს დასკვნას მიწების გამოყოფის შესახებ (როცა ნაკვეთის გამოყოფა სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან ხდება და მასალებს დადგენილების პროექტითურთ წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

22. მიწების გამოყოფის თაობაზე სამიწათმომწყობო საქმეებში, რომლებიც გაეგზავნებათ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, უნდა იყოს შემდეგი მასალები:

— ამ დებულების მე-13 პუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტები;

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმის დასაბუთება, რომ მოცემული ობიექტის განლაგება არაპროდუქტიულ მიწებზე შეუძლებელია (თუ ნაკვეთის გამოყოფა ხდება პროდუქტიული მიწებიდან);

— კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) ოქმის ამონაწერი მიწების გამოყოფის შესახებ, რომელიც დამოწმებული იქნება კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით;

— იმ საბჭოთა მეურნეობის, სატყეო მეურნეობისა და სხვა მეურნეობების დირექციის დასკვნა, რომლებისგანაც გამოიყოფა მიწები;

— დაწესებული ფორმის ცნობა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სხვა მეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ;

— მიწების გამოყოფასთან დაკავშირებით გადასასახლებელ კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა კომლების სიები, სადაც უნდა აღინიშნოს მათი საკარმიდამო ნაკვეთების ფართობი მიწის სააღრიცხვო დოკუმენტების თანახმად;

— სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგებისა და ზარალის განსაზღვრის აქტი, აგრეთვე ცნობა გამოსაყოფი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაცვლად ახალი მიწების ათვისების ღირებულების შესახებ;

— სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან გამოსაყოფად გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ტექნიკური გამოკლევის აქტი (დაწესებული ფორმისა);

— სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს (როცა მიწის გამოყოფა ხდება მათ ტერიტორიაზე), საქართველოს სსრ სახმშენის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სახმშენის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშენებლობის საქმეთა განყოფილების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის (როცა ნაკვეთების გამოყოფა ხდება სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან), ხოლო საჭიროების კვალობაზე — საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს (როცა მიწების გამოყოფა ხდება საკურორტო ზონის ფარგლებში) დასკვნა;

— რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთის გამოყოფის პროექტის განხილვის შესახებ;

— აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება (როცა მიწების გამოყოფა ხდება მათ ტერიტორიაზე);

— მიწის ნაკვეთის გამოყოფის გრაფიკული პროექტი;

— პროექტის ახსნა-განმარტებითი ბარათი შემსრულებლის და იმ საპროექტო ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ხელმოწერით, რომელმაც მოამზადა მიწის ნაკვეთის გამოყოფის პროექტი;

23. ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების მიწებიდან ნაკვეთების სარგებლობისათვის გადაცემის საკითხებს განიხილავენ და გადაწყვეტენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო საბჭოების აღმასკომები საქართველოს სსრ მიწის კოდექსის მე-14, 93-ე, 94-ე და 105-ე მუხლების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. ორგანიზაციები, საწარმოები და დაწესებულებები მიწების გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისა და მშენებლობის დაფინანსების გახსნის შემდეგ მოვალენი არიან სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთის მიღებამდე აუნაზღაურონ ზარალი მიწათმოსარგებლეებს და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგები შესაბამისად გადაწყვეტილებისა მიწების გამოყოფის შესახებ და ინსტრუქციისა მიწის ნაკვეთების გამოყოფით ან დროებით დაკავების შედეგად მიწათმოსარგებლეთათვის მიყენებული ზარალის, აგრეთვე არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის მიწების გამოყოფასთან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო დანაკარგების ანაზღაურების წესის შესახებ, რომელიც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ დაამტკიცეს 1975 წლის 14 მაისს (თან ერთვის).

25. საწარმოო და სხვა საჭიროებისათვის მიწების თვითნებურად დაკავების თავიდან აცილების მიზნით სახბანკისა და მშენბანკის განყოფილებანი ობიექტების მშენებლობას დააფინანსებენ მხოლოდ იმ პირობით, თუ საწარმოს ან ორგანიზაციას ექნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ და იმის აქტი, რომ ნაკვეთი ნატურაში გამოყოფილია.

26. აკრძალულია მეორედ გამოეყოთ მიწის ნაკვეთები იმ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებმაც პირვანდელი გამოყოფისას არ შეასრულეს ვალდებულებანი, რომ გადაეხადათ ზარალი მიწათმოსარგებლეთათვის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგები მიწების გამოყოფის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებში აღნიშნული ოდენობით.

## III. მიწის ნაკვეთის გამოყოფის პროექტის ნატურაში გადატანა და ცვლილებათა შეტანა მიწის სააღრიცხვო დოკუმენტებში

27. დადგენილი წესით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის გამოყოფის პროექტი ნატურაში გადააქვთ „საქსახმიწპროექტის" ინსტიტუტის სპეციალისტებს რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის, იმ საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების წარმომადგენლების, რომლისთვისაც გამოიყოფა ნაკვეთი, და იმ მეურნეობის წარმომადგენლის თანდასწრებით, რომლის სარგებლობიდანაც გამოიყოფა ნაკვეთი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — მომიჯნავე მიწათმოსარგებლეთა წარმომადგენლების თანდასწრებით.

28. გამოყოფილი მიწის ნაკვეთი ნატურაში აღინიშნება დაწესებული ნიმუშის სამიჯნო ნიშნებით. მიწათსარგებლობის გარეთა საზღვრებთან ან სხვა მუდმივ კონტურებთან და ობიექტებთან მიბმით.

პირდაპირი დანიშნულებით მიწის ნაკვეთის ნატურაში თანდათანობით ათვისებისას განისაზღვრება აგრეთვე პირველ რიგში ასათვისებელი ნაკვეთის ნაწილის ფარგლები.

პროექტის ნატურაში გადატანა და მიწების გადაცემა მშენებლობისა და სხვა საჭიროებისათვის ხდება მას შემდეგ, რაც ორგანიზაცია, საწარმო, დაწესებულება შეასრულებს ყველა ვალდებულებას მშენებლობისა და სხვა არასა-

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის მიწების გამოყოფასთან დაკავშირებით მიწათმოსარგებლეთა ზარალისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების საკომპენსაციოდ, მიწების გამოყოფის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნული ოდენობით.

29. მიწის ნაკვეთის გამოყოფის პროექტის ნატურაში გადატანის სამუშაოთა დამთავრების შემდეგ მიწათმოწყობის ორგანოები შეადგენენ დაწესებული ფორმის აქტს ოთხ ეგზემპლარად. აქტს თან დაერთვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის სქემა ნაკვეთის საზღვრების ნატურალური გაზომვითა და აბრისით. აქტი საველე გაზომვის მასალებითურთ თან დაერთვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის საქმეს.

30. მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით მეურნეობის მიწათსარგებლობაში მომხდარ ყველა ცვლილებას მიწათმოწყობის რაიონული ორგანოები, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის მიწათმოწყობის ორგანოები შეიტანენ მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო აქტებში, შინასამეურნეო მიწათმოწყობის გეგმებში, რაიონულ მორიგე რუკებში და მიწის სააღრიცხვო სხვა დოკუმენტებში, ხოლო რაიონების არქიტექტორები — რაიონული დაგეგმარების გეგმაში (სქემაში).

## IV. მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების დამზადება და გაცემა

31. მიწის ნაკვეთების გამოყოფის მასალების საფუძველზე „საქსახმიწპროექტის" ინსტიტუტი დაამზადებს, ხოლო მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი მისცემს საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას, რომელსაც გამოეყო მიწის ნაკვეთი, მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელ დაწესებული ფორმის სახელმწიფო აქტს.

32. თუ მიწის ნაკვეთი ნაწილ-ნაწილ, დანიშნულებისამებრ მისი ათვისების კვალობაზე გამოიყოფა, ახალი მიწათმოსარგებლისათვის მიცემული მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელი აქტის გრაფიკულ ნაწილში აისახება ის ფართობი, რომელიც გამოიყოფა პირველ რიგში ასათვისებლად.

განაცხადი შემდგომი მორიგი მშენებლობისათვის ნაკვეთის გამოსაყოფად მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომში შეიტანება საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების დაწყებამდე.

33. საქმეები სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის მიწების გამოყოფის შესახებ ინახება სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოში და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარ სამმართველოში (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტში).

## V. გამოყოფილი მიწის ნაკვეთების დაბრუნება

34. როდესაც გავა ვადა, რომლითაც გამოყოფილი იყო მიწის ნაკვეთი, ან იგი საჭირო აღარ იქნება, მიწის ნაკვეთი უნდა დაუბრუნდეს მეურნეობას, რომლისგანაც გამოყოფილი იყო, მას შემდეგ, რაც მოყვანილ იქნება სოფლის მეურნეობაში (სატყეო მეურნეობაში) გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში.

35. დასაბრუნებელ მიწის ნაკვეთს ნატურაში გამოიკვლევს კომისია შემდეგი შემადგენლობით: რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის წარმომადგენელი (კომისიის თავმჯდომარე), სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს უფროსი (მთავარი) ინჟინერ-მიწათმომწყობი, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის რაიონული სამმართველოს წარმომადგენელი (საჭიროების კვალობაზე) და იმ საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების წარმომადგენელი, რომლისთვისაც გამოყოფილი იყო ნაკვეთი, აგრეთვე იმ მეურნეობის წარმომადგენელი, რომელსაც იგი უბრუნდება.

გამოკვლევის შედეგები გაფორმდება აქტით, რომელშიც აღინიშნება ნაკვეთის ფართობი, რა მიზნით იყო იგი გამოყოფილი, მისი რეკულტივაციის სამუშაოთა მდგომარეობა (ნიადაგის საფარის დარღვევის შემთხვევაში) და რა საჭიროებისათვის არის იგი გათვალისწინებული შემდგომში გამოსაყენებლად.

36. საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიწათსარგებლობის უფლება შეწყდება, აგრეთვე მიწები წინანდელ მიწათმოსარგებლეებს დაუბრუნდებათ საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 36-ე და 37-ე მუხლების შესაბამისად გათვალისწინებულ საფუძველზე და წესით.

37. მიწის ნაკვეთის დაბრუნებას რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი (მთავარი) ინჟინერ-მიწათმომწყობი აღნიშნავს მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელ აქტებში, მიწის სააღრიცხვო დოკუმენტებში და შესაბამისი მეურნეობის მიწათმოწყობის გეგმებში.

38. მიწის ნაკვეთების დაბრუნებისას წამოჭრილი დავა გადაწყდება საქართველოს სსრ მიწის კოდექსის X კარის შესაბამისად.

## VI. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მეურნეობებს შორის მიწის ნაკვეთების გაცვლის შესახებ, აგრეთვე სახელმწიფო მიწის მარაგის მიწებზე ამ მეურნეობათა მიწის ნაკვეთების გაცვლის შესახებ მათი შუამდგომლობების განხილვის წესი

39. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების შუამდგომლობებს მათ შორის მიწის ნაკვეთების გაცვლის შესახებ, მიწათსარგებლობაში ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, აგრეთვე სახელმწიფო მიწის ფონდის მიწებზე ამ მეურნეობათა მიწის ნაკვეთების გაცვლის შესახებ განიხილავენ სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოები, რომლებიც მოამზადებენ დასკვნებს და აღნიშნულ საკითხზე რაიონული საბჭოს აღმასკომის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სამიწათმოწყობო საქმეს გაუგზავნიან აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს (ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის შემადგენლობაში შემავალი რაიონების სამმართველოები) და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს (იმ რაიონების სამმართველოები, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის შემადგენლობაში არ შედიან) შემდეგი დოკუმენტების თანდართვით:

ა) დაინტერესებულ მიწათმოსარგებლეთა თანხმობა მიწის ნაკვეთების გაცვლის შესახებ;

ბ) იმ რესპუბლიკური ან საოლქო ორგანოს, მეურნეობის დასკვნა, რომლის ინტერესებსაც შეეხება მიწების გაცვლა;

გ) ცნობა მიწების გამცვლელ მეურნეობათა მიწათსარგებლობისა და გასაცვლელი ნაკვეთების ფართობის შესახებ სავარგულების მიხედვით;

დ) იმ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მიწათმოსარგებლეთა მიწების გეგმა (ნახაზი), რომელთა შორისაც ხდება მიწის ნაკვეთების გაცვლა, ამ ნაკვეთების მდებარეობის აღნიშვნით;

ე) სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს დასკვნა;

ვ) რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება.

40. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველო განიხილავენ მასალებს მიწის ნაკვეთების გაცვლის შესახებ და თავიანთ დასკვნასთან და გადაწყვეტილების პროექტთან ერთად წარუდგენენ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს.

41. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი განიხილავენ მასალებს და მიიღებენ გადაწყვეტილებებს მიწის ნაკვეთების გაცვლის შესახებ თავიანთი რესპუბლიკებისა და ოლქის ფარგლებში.

რესპუბლიკის ყველა დანარჩენი რაიონიდან მასალები მიწის ნაკვეთების გაცვლის შესახებ ეგზავნება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელიც განიხილავს მათ და თავის დასკვნას დადგენილების პროექტთან ერთად წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

42. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საკითხის განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოებს მისცემს მითითებებს მიწათსარგებლობის დოკუმენტაციაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

**VII. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობების, სახელმწიფო ხეხილსანერგეებისა და სხვა მეურნეობების მიწის ნაკვეთების გამოყოფისა და განყოფილებებისა და ფერმების გადაცემის წესი**

43. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო განიხილავს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობებს, აგრეთვე იმ რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობებს, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის შემადგენლობაში არ შედიან, და ნებას დართავს მათ გამოყონ ამ სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობების, სახელმწიფო ხეხილსანერგეებისა და სხვა მეურნეობების მიწის ნაკვეთები და გადასცენ მათი განყოფილებები და ფერმები ამავე სამინისტროს სხვა საბჭოთა მეურნეობებს, სახელმწიფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეხილსანერგეებსა და დანარჩენ მეურნეობებს იმ პირობით, თუ წარმოდგენილ იქნება შემდეგი დოკუმენტები:

ა) გაანგარიშებანი, რომლებიც ასაბუთებენ იმას, რომ საჭიროა მიწის ნაკვეთების გამოყოფა ან განყოფილებებისა და ფერმების გადაცემა ერთი მეურნეობიდან მეორისათვის;

ბ) სათანადო მეურნეობათა მიწების ექსპლიკაცია, სადაც აღინიშნება გადასაცემი ნაკვეთების ფართობი სავარგულების მიხედვით;

გ) მეურნეობების ხელმძღვანელთა თანხმობა მიწათსარგებლობის საზღვრებისა და ფართობის შეცვლის და განყოფილებებისა და ფერმების ქონების გადაცემის (მიღების) შესახებ;

დ) მიწათსარგებლობის გეგმა (ნახაზი), რომელზეც აღინიშნება გამოსაყოფი მიწის ნაკვეთები ან გადასაცემი განყოფილებები და ფერმები;

ე) სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს მოხსენებითი ბარათი, რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება და ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილია მიწის ნაკვეთების გამოყოფა ან განყოფილებებისა და ფერმების გადაცემა ერთი მეურნეობიდან მეორისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 14 საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის დებულების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 27 იანვარი, № 60.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 27 იანვრის № 60
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის შესახებ

1. საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგია შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 3 დეკემბრის № 700 დადგენილებით.

მთავარი სარედაქციო კოლეგია თავის შემოქმედებითს და სამეცნიერო-ორგანიზატორულ მუშაობას იმგვარად წარმართავს, რომ ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მთარგმნელობითი საქმიანობის გეგმაზომიერებას, იდეურ-პოლიტიკურ მიზანდასახულობას, ქართულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე საბჭოთა და მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა, აგრეთვე სსრ კავშირის და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა ენებზე რესპუბლიკის ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების თარგმანთა თანამიმდევრულ გამოცემას ერთიანი პერსპექტიული გეგმის ფარგლებში.

კოლეგიის კომპეტენციას განეკუთვნება მთარგმნელობითი საქმიანობის ინფორმაციის, კოორდინაციის და თარგმნილი ლიტერატურის გამოსაცემად რეკომენდაციის, ლიტერატურული კავშირურთიერთობის, მთარგმნელთა მომზადებისა და მათი ოსტატობის ამაღლების საკითხები.

2. საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგია საბიუჯეტო ორგანიზაციაა და, ხელმძღვანელობს რა ამ დებულებით, მთელ თავის საქმიანობას ახორციელებს შესაბამისი წლისათვის დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში, სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, აქვს მრგვალი ბეჭედი და კუთხოვანი შტამპი, რომელზეც აღნიშნულია ორგანიზაციის სრული დასახელება, აგრეთვე დამოუკიდებელი ანგარიში ბანკში.

კოლეგია პასუხს აგებს თავისი ვალდებულებების მიხედვით კუთვნილ ქონებაზე, რომელზეც კანონით შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება. საქართველოს მწერალთა კავშირის ვალდებულებებისათვის კოლეგიას პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

3. მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

— კომპლექსურად გადაწყვიტოს მხატვრული თარგმანის შემოქმედებითი და სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საკითხები და შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად განახორციელოს ერთიანი პოლიტიკა მთარგმნელობითი საქმიანობის დარგში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მონაწილეობა მიიღოს რესპუბლიკაში თარგმნილი მხატვრული ლიტერატურის გამოცემის გეგმების ფორმირებაში, განიხილოს გეგმათა პროექტები, მოამზადოს გამომცემლობებისათვის რეკომენდაციები ქართულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე და ამ ენებიდან მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთა თარგმნის შესახებ;

— განიხილოს შეფასების მიზნით და გადასცეს გამომცემლობებს შესაბამისი დასკვნები გამომცემლობების მიერ ხელმეორედ გამოქვეყნების გეგმანი შეტანილ თარგმნილ ნაწარმოებთა გამოცემის მიზანშეწონილობის შესახებ;

— გაუწიოს გამომცემლობებს შემოქმედებითი დახმარება ცალკეულ მთარგმნელობით სამუშაოთა განხორციელებაში; მოამზადოს სამსახურებრივი სარგებლობისათვის სამეცნიერო-საინფორმაციო, საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და სხვა დამხმარე მასალები ცოდნის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა მონაწილეობით;

— მოამზადოს და გამოაქვეყნოს მხატვრული და სამეცნიერო-მხატვრული თარგმნილი ლიტერატურა, სამეცნიერო-საინფორმაციო და საცნობარო-ბიბლიოგრაფიული კრებულები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 15 დეკემბრის № 738 დადგენილებით დაწესებული სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახების რაოდენობის ფარგლებში, აგრეთვე მოამზადოს თარგმანები და ბწკარედები საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში და საზღვარგარეთ მათ გამოსაცემად, განახორციელოს მათი რეცენზირება და რედაქტირება;

— დაამყაროს მჭიდრო კონტაქტები ყველა ორგანიზაციასთან, რომელთა საქმიანობაც ამა თუ იმ ფორმით უკავშირდება მხატვრული თარგმანის, აგრეთვე სამეცნიერო-მხატვრული ლიტერატურის თარგმნის პრობლემებს. მოაწყოს მხატვრული თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი თათბირები, შეხვედრები, კონფერენციები და მონაწილეობა მიიღოს ამგვარ ღონისძიებებში რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა და მსოფლიო ლიტერატურის განვითარების ღირსსახსოვარ თარიღებთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მომზადებასა და განხორციელებაში;

— შეისწავლოს და განაზოგადოს საბჭოთა და საზღვარგარეთული მთარგმნელობითი ხელოვნების გამოცდილება და ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მხატვრული თარგმანის თეორიული პრინციპების შემუშავების საქმეს, რეგულარულად გამოაქვეყნოს ალმანახ „საუნჯეში“ ახალი თარგმანებისადმი მიძღვნილი რეცენზიები, კრიტიკული და მიმოხილვითი მასალები; უზრუნველყოს ამგვარი მასალების მომზადება რესპუბლიკური და საკავშირო პერიოდული პრესისათვის; გამოაქვეყნოს სამეცნიერო-საინფორმაციო და საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ კრებულებში სტატიები და წერილები მხატვრული თარგმანის თეორიისა და ისტორიის საკითხებზე და სხვა დამხმარე მასალები, რომლებიც ასახავენ მთარგმნელობითი საქმის მდგომარეობას რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— განახორციელოს ცოცხალი შემოქმედებითი კონტაქტები მოძმე რესპუბლიკების მწერალ-მთარგმნელთა და იმ ავტორთა შორის, რომელთა ნაწარმოებებსაც ისინი თარგმნიან, ხელი შეუწყოს მათს აქტიურ ორმხრივ მონაწილეობას საერთო ლიტერატურულ პროცესში; წარუდგინოს შესაბამის ორგანიზაციებს დადგენილი წესით შესათანხმებლად ლიტერატურული შემოქმედებითი კონტაქტების განხორციელების ღონისძიებათა გეგმები, რომლებიც გაითვალისწინებენ ლიტერატორთა, თარგმანის სპეციალისტთა მოწვევას საზღვარგარეთის ქვეყნებიდან და მწერალ-მთარგმნელთა, თარგმანის სპეციალისტთა შემოქმედებითს მივლინებებს იმ ქვეყნებში, რომელთა ლიტერატურასთანაც ისინი არიან დაკავშირებული;

— გაუწიოს მთარგმნელებს დახმარება მათ შემოქმედებითს მუშაობაში, მოაწყოს მათთვის საჭირო კონსულტაციები, გააცნოს საარქივო მასალები და სათანადო ლიტერატურა; მოამზადოს ბწკარედების ბიბლიოთეკის მეშვეობით რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებთა მაღალკვალიფიციური ბწკარედები; პრაქტიკულად შეუწყოს ხელი მწერალ-მთარგმნელთა მიერ უცხო ენებისა და სსრ კავშირის ხალხთა ენების შესწავლას, მათს ორგანიზებულ უზრუნველყოფას მუშაობისათვის საჭირო საბჭოთა და საზღვარგარეთული ლიტერატურით;

— სისტემატურად განახორციელოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად, რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებთან მჭიდრო კონტაქტით თანამიმდევრული მუშაობა საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა ენებიდან მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელთა მომზადების გასაუმჯობესებლად და მათი ოსტატობის ასამაღლებლად, მოამზადოს და რეკომენდაცია მისცეს კანდიდატურებს მოკავშირე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან იმ სტუდენტთა გეგმაზომიერი გაცვლისათვის, რომლებიც მხატვრული ლიტერატურის თარგმნაზე მუშაობენ; გაუწიოს საჭიროების კვალობაზე უშუალო პრაქტიკული დახმარება მუშაობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურებისა და მხატვრული თარგმანის კათედრას.

4. მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის მთელ მუშაობას წარმართავს მისი კოლეგია, რომელშიც შედიან კოლეგიის თავმჯდომარე, პასუხისმგებელი მდივანი, რედაქციათა გამგეები; კოლეგია უშუალოდ ხელმძღვანელობს მთავარი სარედაქციო კოლეგიის ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფს, მათ შორის თბილისის ლიტერატურული კავშირურთიერთობის სახლს და თამარაშენის ი. მაჩაბლის სახელობის მთარგმნელთა შემოქმედებითს სახლს.

მთავარ სარედაქციო კოლეგიას უფლება აქვს საქართველოს მწერალთა კავშირის ნებართვით და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს თანხმობით შექმნას მმართველობის აპარატის ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფები და გარდაქმნას მოქმედი ქვედანაყოფები ამ აპარატის საშტატო რიცხოვნობის,

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელფასის თვიური ფონდისა და დამტკიცებულ ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

მთავარ სარედაქციო კოლეგიასთან შექმნილია მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა საკონსულტაციო საბჭო, რომელშიც შედიან მწერალი-მთარგმნელები, დაინტერესებულ უწყებათა და დაწესებულებათა წარმომადგენლები. მთავარი სარედაქციო კოლეგიისა და მისი საკონსულტაციო საბჭოს გადაწყვეტილებანი ხორციელდება კოლეგიის დადგენილებებით.

მთავარი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 3 დეკემბრის № 700 დადგენილებითა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 15 დეკემბრის № 738 დადგენილებით განსაზღვრული ამ ორგანოს ამოცანებისა და მოვალეობათა ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს მოქმედი კანონების საფუძველზე და შესასრულებლად, გასცემს მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად მთავარი სარედაქციო კოლეგიის ყველა ქვედანაყოფისათვის.

5. მთავარი სარედაქციო კოლეგია საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოსთან ერთად ი. მაჩაბლის სახელობის პრემიის დებულების თანახმად ორ წელიწადში ერთხელ მიანიჭებს ი. მაჩაბლის სახელობის პრემიებს ქართულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე საბჭოთა და საზღვარგარეთული კლასიკის და თანამედროვე ლიტერატურის ყველაზე თვალსაჩინო თარგმანებისათვის, აგრეთვე სხვა ენებზე ქართველი, აფხაზი და ოსი მწერლების ნაწარმოებთა თარგმანებისათვის.

## 15 საქართველოს სსრ საფინანსო და სადაზღვევო ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა ატესტაციის ჩატარების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 26 ივლისის № 531 დადგენილების შესასრულებლად და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, აგრეთვე რესპუბლიკის საფინანსო და სადაზღვევო ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა შრომის ეფექტიანობის ამაღლებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ჩაატაროს 1977 წელს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, აგრეთვე რესპუბლიკის საფინანსო და სადაზღვევო ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა ატესტაცია.

2. მუშაკთა ატესტაციის ჩატარებისას გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი ძირითადი დებულებანი:

— თანამდებობათა ნუსხა, რომლის მიხედვითაც ჩატარდება მუშაკთა ატესტაცია, უნდა განსაზღვროს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს კოლეგიამ სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით;

— მუშაკთა ატესტაციას სამ-ხუთ წელიწადში ერთხელ ატარებენ საატესტაციო კომისიები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი ხელმძღვანელ მუშაკთა და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთაგან; საატესტაციო კომისიების შემადგენლობაში შედიან აგრეთვე პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები;

— მუშაკის ატესტაციის დროს მხედველობაში მიიღება მისი პირადი წვლილი საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის, შესაბამისად — ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და ადგილობრივი (საოლქო, საქალაქო, სადაბო, სასოფლო) ბიუჯეტების შედგენისა და შესრულების საქმეში, მის მიერ სახელმწიფო დისციპლინის დაცვა, კვალიფიკაცია, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა;

— გადაწყვეტილებებს ატესტაციის შედეგების მიხედვით (მუშაკის წახალისება, სხვა სამუშაოზე გადაყვანა, დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლება და სხვ.) კომისია მიიღებს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;

— შრომითი დავა იმ მუშაკთა დათხოვნისა და თანამდებობაზე აღდგენის საკითხებზე, რომლებიც ატესტაციის შედეგების მიხედვით ცნობილ იქნენ დაკავებული თანამდებობისათვის შეუფერებლად, განიხილება შრომითი დავის განხილვის წესის თაობაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყონ კონტროლი და ყოველმხრივი

მომზადება საფინანსო და სადაზღვევო ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა ატესტაციის ჩასატარებლად, მათი კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შემდგომი სრულყოფა, მართვისა და შრომის ორგანიზაციის მეცნიერული მეთოდების ფართოდ გამოყენება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 27 იანვარი, № 62.

## 16 თბილისის ბუნების დაცვის ზონალური ინსპექციის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომისადმი ორმაგი დაქვემდებარების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის წინადადება და დაწესდეს თბილისის ბუნების დაცვის ზონალური ინსპექციის ორმაგი დაქვემდებარება — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 3 თებერვალი, № 72.

პარლამენტის ბიბლიოთეკა

# 17 სოფლად ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაკრედიტების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ „სოფლად ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაკრედიტების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 20 დეკემბრის № 1042 დადგენილებით:

— დაწესდა, რომ 1977 წლის 1 იანვრიდან კოლმეურნეებს, სოფლად განლაგებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშებს, მოსამსახურეებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს (გზათა სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების გარდა) სესხი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიეცემათ 1.500 მანეთამდე ოდენობით, რაც უნდა დაიფაროს სახლის მშენებლობის დამთავრებიდან 10 წლის განმავლობაში;

— შენარჩუნებულია სესხის მიცემის მოქმედი წესი, მისი დაფარვის ოდენობა და ვადები მსესხებელთა ცალკეული კატეგორიებისათვის, რომლებისათვისაც სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებით დაწესებულია დაკრედიტების უფრო შეღავათიანი პირობები;

— ძალადაკარგულად ჩაითვალა 1-ლი პუნქტის მეორე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 20 დეკემბრის № 2465 დადგენილებისა „სესხის ოდენობის შემცირებისა და ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაში მოსახლეობის საკუთარი სახსრების ხვედრითი წონის გადიდების შესახებ" (რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 25 დეკემბრის № 1642 განკარგულებით) სოფლად განლაგებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის სესხის მიცემის ნაწილში (გზათა სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების გარდა), და იმავე დადგენილების მე-6 პუნქტი სოფლად მომუშავე ექიმებისა და მასწავლებლებისათვის ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მიზნით მისაცემი სესხის ოდენობისა და დაფარვის ვადების ნაწილში.

2. მიეცეთ 1977 წლის 1 იანვრიდან სოფლად მცხოვრებ სამამულო ომის ინვალიდებს, ინვალიდებს იმ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც დაინვალიდდნენ სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად, ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების გამო, აგრეთვე ინვალიდებს 1944 წლის 1 იანვრიდან უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ და ესტონეთის სსრ ტერიტორიაზე მოქმედი გამანადგურებელი ათასეულების, ოცეულებისა და ხალხის დამცველი რაზმების მებრძოლთა და მეთაურთა შემადგენლობიდან, რომლებიც დაინვალიდდნენ ამ ათასეულებში, ოცეულებსა და რაზმებში სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას,

— უპროცენტო სესხი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის 1.500 მანეთამდე ოდენობით, რაც უნდა დაიფაროს 10 წლის განმავლობაში, მოყოლებული სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მესამე წლიდან.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაკარგულ გადაწყვეტილებათა თანდართული ნუსხა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 18 თებერვალი, № 97.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 18 თებერვლის № 97
დადგენილებით

## ნ უ ს ხ ა

### საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სოფლად ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაკრედიტების პირობების შეცვლასთან დაკავშირებით

1. „ძროხების შეძენისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გრძელვადიანი კრედიტების გაცემის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 12 მარტის № 145 დადგენილების 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის პირველი და მეორე აბზაცები.

2. „სამამულო ომის ინვალიდთა და დიდ სამამულო ომში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახების წევრთა შეღავათების გაფართოების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 აპრილის № 201 დადგენილების მე-7 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი სოფლად მცხოვრებ ინვალიდთათვის ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მიზნით სესხის მიცემის ნაწილში.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 12 ივნისის № 377 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 აპრილის № 201 დადგენილებით სამამულო ომის ინვალიდებისათვის დაწესებული შეღავათების იმ სხვა ინვალიდებზე გავრცელების შესახებ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც ინვალიდები გახდნენ სსრ კავშირის დაცვის დროს" სოფლად მცხოვრებ ინვალიდთათვის ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მიზნით სესხის მიცემის ნაწილში.

---

## 18 ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა გამოცემისათვის, საჯაროდ შესრულებისა და სხვა სახით გამოყენებისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთებისა და გადახდის წესების შესახებ

ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა და ხელახლა გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა საჯაროდ შესრულებისათვის, საჯაროდ შესასრულებელ ნაწარმოებთა შესაქმნელად შეკვეთების შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელოს გადახდის შემდგომი მოწესრიგების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დრამატული, მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების — ორიგინალური პიესების, ინსცენირებების, ოპერების, ბალეტების, ოპერეტების, მუსიკალური კომედიების, აღნიშნულ ნაწარმოებთა ერთი ენიდან მეორეზე თარგმანების, აგრეთვე საკონცერტო, საცირკო და საცეკვაო პროგრამების საჯაროდ შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები, № 1 დანართის თანახმად, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ საავტორო გასამრჯელოს დაარიცხავენ თეატრალურ-სანახაობითი საწარმოები მთლიანი შემოსავლის იმ თანხების პროცენტულად, რომლებიც შემოდის ბილეთების გაყიდვისაგან აღნიშნულ ნაწარმოებთა საჯაროდ შესრულების დროს.

2. დაწესდეს საჯაროდ შესასრულებელ დრამატულ, მუსიკალურ, მუსიკალურ-დრამატულ და ლიტერატურულ ნაწარმოებთა შესაქმნელად შეკვეთების შესრულებისათვის ან გამოუქვეყნებელ ნაწარმოებთა პირველი საჯარო შესრულების უფლებისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები, № 2 დანართის თანახმად.

დაწესდეს, რომ დრამატულ, მუსიკალურ, მუსიკალურ-დრამატულ და ლიტერატურულ ნაწარმოებთა ავტორებს უფლება აქვთ დაუდონ ხელშეკრულებანი შეკვეთით ნაწარმოებთა შექმნის შესახებ მხოლოდ ერთ დაწესებულებას (ორგანიზაციას) და მიიღონ გასამრჯელო მოცემული ნაწარმოების შექმნისათვის მხოლოდ ერთ დაწესებულებაში (ორგანიზაციაში).

3. სსრ კავშირის ტერიტორიაზე დრამატული, მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების საჯაროდ შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელო ავტორთა მემკვიდრეების სასარგებლოდ დაირიცხება იმავე ოდენობით, როგორც უნდა დარიცხოდა ეს გასამრჯელო თვით ავტორს, ცოცხალი რომ ყოფილიყო, და საავტორო უფლებათა სრულიად საკავშირო სააგენტოს საქართველოს რესპუბლიკური განყოფილების მიერ გაიცემა მემკვიდრეობაზე საავტორო უფლების მოქმედების ფარგლებში.

4. დამტკიცდეს თანდართული ინსტრუქცია ამ დადგენილების გამოყენების შესახებ.

მუხ. 18

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 264 დადგენილება „დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებებისათვის საავტორო გასამრჯელოს შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 25 თებერვალი, № 133.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 25 თებერვლის № 133
დადგენილების დანართი № 1

# განაკვეთები

## საავტორო გასამრჯელოსი დრამატული, მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების, აღნიშნულ ნაწარმოებთა ერთი ენიდან მეორეზე თარგმანების, აგრეთვე საკონცერტო, საცირკო და საცეკვაო პროგრამების საჯაროდ შესრულებისათვის

| ნაწარმოებთა სახეობანი | განაკვეთები საავტორო გასამრჯელოსი, რასაც დაარიცხავენ თეატრალურ-სანახაობითი საწარმოები (ერთი ნაწარმოების ან პროგრამის საჯაროდ შესრულებისათვის ბილეთების გაყიდვისაგან მიღებული მთლიანი შემოსავლის თანხების პროცენტულად) | |
|---|---|---|
| | მრავალაქტიანი ნაწარმოებები | ერთაქტიანი ნაწარმოებები |
| **ორიგინალური დრამატული ნაწარმოებები** | | |
| 1. პიესა ქართულ ენაზე და საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხთა ეროვნულ ენაზე: | | |
| პროზად . . . . . . . . . . . . . . | 9,0 | 2,5 |
| ლექსად . . . . . . . . . . . . . . | 10,0 | 3,0 |
| 2. პიესა რუსულ ენაზე: | | |
| პროზად . . . . . . . . . . . . . . | 4,0 | 1,5 |
| ლექსად . . . . . . . . . . . . . . | 5,0 | 2,0 |
| 3. პიესა სსრ კავშირის ხალხთა ერთ-ერთ ენაზე (გარდა რუსულისა) და უცხო ენაზე: | | |
| პროზად . . . . . . . . . . . . . . | 6,0 | 2,0 |
| ლექსად . . . . . . . . . . . . . . | 7,0 | 2,5 |
| **ინსცენირებანი** | | |
| 4. ისეთ ნაწარმოებთა ინსცენირებანი, რომელთაც საავტორო უფლება არ იცავს: | | |
| ა) პიესა-ინსცენირება ქართულ ენაზე — ინსცენირების ავტორს . . . . . . . . . . . . . . | 4,0 | 1,5 |
| ბ) პიესა-ინსცენირება საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხთა ეროვნულ ენაზე — ინსცენირების ავტორს . . . . . . . . . . . . | 4,0 | 1,5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ნაწარმოებთა სახეობანი | განაკვეთები საავტორო გასამრჯელოსი, რასაც დაარიცხავენ თეატრალურ-სანახაობითი საწარმოები (ერთი ნაწარმოების ან პროგრამის საჯაროდ შესრულებისათვის ბილეთების გაყიდვისაგან მიღებული მთლიანი შემოსავლის თანხების პროცენტულად) | |
|---|---|---|
| | მრავალაქტიანი ნაწარმოებები | ერთაქტიანი ნაწარმთებები |
| გ) პიესა-ინსცენირება რუსულ ენაზე — ინსცენირების ავტორს | 1,5 | 1,0 |
| დ) პიესა-ინსცენირება სსრ კავშირის ხალხთა ერთ-ერთ ენაზე (გარდა რუსულისა) — ინსცენირების ავტორს | 3,0 | 1,0 |
| 5. ისეთ ნაწარმოებთა ინსცენირებანი, რომელთაც საავტორო უფლება იცავს: | | |
| ა) პიესა-ინსცენირება ქართულ ენაზე | 6,0 | 2,0 |
| აქედან: | | |
| ნაწარმოების ავტორს | 2,0 | 0,5 |
| ინსცენირების ავტორს | 4,0 | 1,5 |
| ბ) პიესა-ინსცენირება რუსულ ენაზე | 3,0 | 1,0 |
| აქედან: | | |
| ნაწარმოების ავტორს | 1,5 | 0,5 |
| ინსცენირების ავტორს | 1,5 | 0,5 |
| გ) პიესა-ინსცენირება საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხთა ეროვნულ ენაზე | 6‘0 | 2,0 |
| აქედან: | | |
| ნაწარმოების ავტორს | 2,0 | 0,5 |
| ინსცენირების ავტორს | 4,0 | 1,5 |
| დ) პიესა-ინსცენირება სსრ კავშირის ხალხთა ერთ-ერთ ენაზე (გარდა რუსულისა) | 4,0 | 1,5 |
| აქედან: | | |
| ნაწარმოების ავტორს | 1,0 | 0,5 |
| ინსცენირების ავტორს | 3,0 | 1,0 |
| **თარგმნილი დრამატული ნაწარმოებები** | | |
| 6. ისეთი პიესების თარგმნა, რომელთაც საავტორო უფლება არ იცავს: | | |

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

| ნაწარმოებთა სახეობანი | განაკვეთები საავტორო გასამრჯელოსი, რასაც დაარიცხავენ თეატრალურ-სანახაობითი საწარმოები (ერთი ნაწარმოების ან პროგრამის საჯაროდ შესრულებისათვის ბილეთების გაყიდვისაგან მიღებული მთლიანი შემოსავლის თანხების პროცენტულად) | |
|---|---|---|
| | მრავალაქტიანი ნაწარმოებები | ერთაქტიანი ნაწარმოებები |
| პიესის თარგმნა სსრ კავშირის ხალხთა ერთ-ერთი ენიდან (რუსულის ჩათვლით) და უცხო ენებიდან ქართულ ენაზე და სსრ კავშირის ხალხთა ეროვნულ ენებზე, აგრეთვე პიესის თარგმნა რუსულ ენაზე | | |
| მთარგმნელს თარგმნისათვის: | | |
| პროზად . . . . . . . . . . . . . . . | 3,0 | 1,0 |
| ლექსად . . . . . . . . . . . . . . . | 4,0 | 1,5 |
| 3. ისეთი პიესების თარგმნა, რომელთაც საავტორო უფლება იცავს: | | |
| პიესის თარგმნა სსრ კავშირის ხალხთა ერთ-ერთი ენიდან (რუსულის ჩათვლით) და უცხო ენებიდან ქართულ ენაზე და სსრ კავშირის ხალხთა ეროვნულ ენებზე, აგრეთვე პიესის თარგმნა რუსულ ენაზე | | |
| პროზად . . . . . . . . . . . . . . . | 4,0 | 1,5 |
| ლექსად . . . . . . . . . . . . . . . | 5,5 | 2,0 |
| აქედან: | | |
| პროზად: ნაწარმოების ავტორს . . . . . . | 1,0 | 0,5 |
| მთარგმნელს . . . . . . . . . . | 3,0 | 1,0 |
| ლექსად: ნაწარმოების ავტორს . . . . . . | 1,5 | 0,5 |
| მთარგმნელს . . . . . . . . . . | 4,0 | 1,5 |
| **მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებები** | | |
| 10. ოპერა, ქართულ ენაზე . . . . . . . . | 12,0 | 4,0 |
| აქედან: | | |
| კომპოზიტორს . . . . . . . . . . . . | 8,5 | 3,0 |
| ლიბრეტოს ავტორს . . . . . . . . . . | 3,5 | 1,0 |
| 9. ოპერა რუსულ ენაზე და სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენებზე (გარდა ქართულისა) . . . . . . . | 8,0 | 3,0 |
| აქედან: | | |
| კომპოზიტორს . . . . . . . . . . . . | 5,5 | 2,0 |
| ლიბრეტოს ავტორს . . . . . . . . . . | 2,5 | 1,0 |

| ნაწარმოებთა სახეობანი | განაკვეთები საავტორო გასამრჯელოსი, რასაც დაარიცხავენ თეატრალურ-სანახაობითი საწარმოები (ერთი ნაწარმოების ან პროგრამის საჯაროდ შესრულებისათვის ბილეთების გაყიდვისაგან მიღებული მთლიანი შემოსავლის თანხების პროცენტულად) | |
|---|---|---|
| | მრავალაქტიანი ნაწარმოებები | ერთაქტიანი ნაწარმოებები |
| 10. ოპერა, როცა ლიბრეტო სსრ კავშირის ხალხთა ერთ-ერთი ენიდან (რუსულის ჩათვლით) ან უცხო ენიდან ითარგმნება ქართულ ენაზე . . . . . | 10,0 | 4,0 |
| აქედან: | | |
| კომპოზიტორს . . . . . . . . . . . | 5,5 | 2,0 |
| ლიბრეტოს ავტორს . . . . . . . . . | 2,0 | 1,0 |
| ლიბრეტოს მთარგმნელს . . . . . . . | 2,5 | 1,0 |
| 11. ბალეტი | 11,0 | 3,0 |
| აქედან: | | |
| კომპოზიტორს . . . . . . . . . . . | 8,5 | 2,0 |
| ლიბრეტოს ავტორს . . . . . . . . . | 2,5 | 1,0 |
| 12. ოპერეტა, მუსიკალური კომედია ქართულ ენაზე | 9,0 | 2,5 |
| აქედან: | | |
| კომპოზიტორს . . . . . . . . . . . | 4,5 | 1,25 |
| ლიბრეტოს ავტორს . . . . . . . . . | 4,5 | 1,25 |
| 13. ოპერეტა, მუსიკალური კომედია რუსულ ენაზე და სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენებზე (გარდა ქართულისა) . . . . . . . . . . . . . | 6,0 | 2,4 |
| აქედან: | | |
| კომპოზიტორს . . . . . . . . . . . | 3,0 | 1,2 |
| ლიბრეტოს ავტორს . . . . . . . . . | 3,0 | 1,2 |
| 14. ოპერეტა, მუსიკალური კომედია, როცა ლიბრეტო სსრ კავშირის ხალხთა ერთ-ერთი ენიდან (რუსულის ჩათვლით) ან უცხო ენიდან ითარგმნება ქართულ ენაზე და საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხთა ეროვნულ ენებზე . | 8,0 | 2,5 |
| 16. მუსიკა, რომლის აკომპანემენტით სრულდება | | |
| აქედან: | | |
| კომპოზიტორს . . . . . . . . . . . | 3,0 | 1,5 |
| ლიბრეტოს ავტორს . . . . . . . . . | 2,5 | 0,5 |
| ლიბრეტოს მთარგმნელს . . . . . . . | 2,5 | 0,5 |
| 15. მუსიკა, რომლის აკომპანემენტით სრულდება მრავალაქტიანი დრამატული ნაწარმოები ყველა აქტში, — მთელი სპექტაკლისათვის . . . . | 2,0 | — |
| 16. მუსიკა, რომლის აკომპანემენტით სრულდება დრამატული ნაწარმოებები არა ყველა აქტში, — ყოველი აქტისათვის . . . . . . . . . | 0,5 | — |

№ 1

<table>
<tr><th rowspan="2">ნაწარმოებთა სახეობანი</th><th colspan="2">განაკვეთები საავტორო გასამრჯელოსი, რასაც დაარიცხავენ თეატრალურ-სანახაობითი საწარმოები (ერთი ნაწარმოების ან პროგრამის საჯაროდ შესრულებისათვის ბილეთების გაყიდვისაგან მიღებული მთლიანი შემოსავლის თანხების პროცენტულად)</th></tr>
<tr><th>მრავალაქტიანი ნაწარმოებები</th><th>ერთაქტიანი ნაწარმოებები</th></tr>
<tr><td>საკონცერტო, საესტრადო, საცირკო პროგრამები</td><td colspan="2"></td></tr>
<tr><td>17. კონცერტი სიმფონიური, ვოკალურ-სიმფონიური და კამერული ნაწარმოებებისაგან . . . . .</td><td colspan="2">5,0 მთელი პროგრამისათვის</td></tr>
<tr><td>18. სხვა კონცერტები, მათ შორის საესტრადო კონცერტები . . . . . . . . . . .</td><td colspan="2">3,0 მთელი პროგრამისათვის</td></tr>
<tr><td>19. საცირკო პროგრამა . . . . . . . .</td><td colspan="2">1,0 მთელი პროგრამისათვის</td></tr>
<tr><td>20. საცირკო პროგრამაში პანტომიმის, ფეერიის, ბალეტის შესრულებისათვის, რომლებსაც უჭირავთ არანაკლებ ერთი დამოუკიდებელი განყოფილებისა</td><td colspan="2">0,5 ყოველი განყოფილებისათვის, დამოუკიდებლად დანარიცხებისა ამ დანართის მე-20 პუნქტის მიხედვით</td></tr>
<tr><td>21. საცირკო პროგრამაში ისეთი სიუჟეტური ატრაქციონის შესრულებისათვის, რომელსაც უჭირავს არანაკლებ ერთი დამოუკიდებელი განყოფილებისა</td><td colspan="2">0,25 ყოველი განყოფილებისათვის, დამოუკიდებლად დანარიცხებისა ამ დანართის მე-20 პუნქტის მიხედვით</td></tr>
<tr><td>22. ორიგინალური მუსიკის შესრულებისათვის, რომელიც სპეციალურად დაწერილია საცირკო პანტომიმის, ფეერიის, ბალეტის და ისეთი სიუჟეტური ატრაქციონის საკომპანემენტოდ, რომელსაც უჭირავს არანაკლებ ერთი დამოუკიდებელი განყოფილებისა . . . . . . . . . . .</td><td colspan="2">0,25 ყოველი განყოფილებისათვის, დამოუკიდებლად დანარიცხებისა ამ დანართის მე-20, 21-ე და 22-ე პუნქტების მიხედვით</td></tr>
<tr><td>23. მუსიკალური ნაწარმოებების შესრულებისათვის კინოთეატრებში, კაფეებსა და რესტორანებში, აგრეთვე საცეკვაო მოედნებზე (გარდა მექანიკური ჩანაწერისა) . . . . . . . . . .</td><td colspan="2">5,0 შემსრულებელთა ხელფასის თანხიდან</td></tr>
<tr><td>24. მექანიკურად ჩაწერილი მუსიკალური ნაწარმოებების შესრულებისათვის საცეკვაო მოედნებზე (როცა შესვლა ფასიანია) . . . . . . . .</td><td colspan="2">0,5 მთელი პროგრამისათვის</td></tr>
<tr><td>25. მასობრივ არენებზე შესრულებული თეატრალიზებული, საესტრადო, საცირკო წარმოდგენები და კონცერტები . . . . . . . . . .</td><td colspan="2">0,5 მთელი პროგრამისათვის</td></tr>
<tr><td>26. წარმოდგენები „ბალეტი ყინულზე“ . . . .</td><td colspan="2">1,0 მთელი სპექტაკლისათვის</td></tr>
<tr><td>27. გამჭოლსიუჟეტიანი საესტრადო წარმოდგენები .</td><td colspan="2">6,0 მთელი პროგრამისათვის</td></tr>
<tr><td>28. გამჭოლსიუჟეტიანი საესტრადო წარმოდგენები მასობრივ არენაზე . . . . . . . . .</td><td colspan="2">1,0 მთელი პროგრამისათვის</td></tr>
</table>

**შენიშვნა:** ნაწარმოებებს გამჭოლსიუჟეტიანი საესტრადო წარმოდგენის ჟანრს მიაკუთვნებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 25 თებერვლის № 133
დადგენილების დანართი № 2

# განაკვეთები

## საავტორო გასამრჯელოს საჯაროდ შესასრულებელ დრამატულ, მუსიკალურ-დრამატულ და ლიტერატურულ ნაწარმოებთა შესაქმნელად შეკვეთების შესრულებისა ან გამოუქვეყნებელ ნაწარმოებთა პირველი საჯარო შესრულების უფლებისათვის

| ნაწარმოებთა სახეობანი | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები (მანეთი) | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 |
| 1. მრავალაქტიანი პიესები: | | | | |
| პროზად . . . . . . . . | 800 | 1500 | 2200 | 3000 |
| ლექსად . . . . . . . . . | 1500 | 2000 | 3000 | 4000 |
| 2. ერთაქტიანი პიესები: | | | | |
| პროზად . . . . . . . . | 300 | 500 | 700 | 1000 |
| ლექსად . . . . . . . . . | 500 | 800 | 1100 | 1500 |
| 3. მრავალაქტიანი პიესები მოზარდ მაყურებელთა თეატრებისათვის: | | | | |
| პროზად . . . . . . . . | 1040 | 1950 | 2860 | 3900 |
| ლექსად . . . . . . . . . | 950 | 2600 | 3900 | 5200 |
| 4. პიესები თოჯინების თეატრებისათვის: | | | | |
| პროზად . . . . . . . . | 450 | 750 | 1050 | 1500 |
| ლექსად . . . . . . . . . | 700 | 1200 | 1650 | 2250 |
| 5. მრავალაქტიანი ინსცენირებანი . . | 200 | 500 | 1000 | 1500 |
| 6. ერთაქტიანი ინსცენირებანი . . | 100 | 200 | 350 | 500 |
| 7. მრავალაქტიანი პიესების თარგმნა: | | | | |
| პროზად . . . . . . . . | 200 | 300 | 500 | 800 |
| ლექსად . . . . . . . . . | 300 | 600 | 1000 | 1200 |
| 8. ერთაქტიანი პიესების თარგმნა: | | | | |
| პროზად . . . . . . . . | 50 | 100 | 200 | 300 |
| ლექსად . . . . . . . . . | 100 | 200 | 350 | 500 |
| **მუსიკალური ნაწარმოებები** | | | | |
| 9. ოპერა (მრავალაქტიანი) . . . . | 3000 | 4000 | 6000 | 8000 |
| 10. ბალეტი (მრავალაქტიანი) . . . | 2000 | 3000 | 4000 | 5000 |
| 11. ოპერეტა, მუსიკალური კომედია (მრავალაქტიანი) . . . . . | 1200 | 2000 | 3000 | 4000 |

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

| ნაწარმოებთა სახეობანი | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები (მანეთი) | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 |
| 12. ორატორია . . . . . . . . . | 1200 | 1800 | 2400 | 3000 |
| 13. სიმფონია . . . . . . . . . | 1500 | 2000 | 3000 | 4000 |
| 14. კანტატა . . . . . . . . . . | 800 | 1200 | 1600 | 2000 |
| 15. დიდი პროგრამული სიმფონიური ნაწარმოები (პოემა და სხვ.) . . | 1000 | 1500 | 2000 | 2500 |
| 16. კონცერტი ორკესტრისათვის . . | 800 | 1000 | 1500 | 2000 |
| 17. სიუიტა სიმფონიური ორკესტრისათვის . . . . . . . . . . . | 500 | 600 | 800 | 1000 |
| 18. უვერტიურა სიმფონიური ორკესტრისათვის და სხვა დიდი არაციკლური ნაწარმოებები . . . . | 200 | 400 | 600 | 800 |
| 19. მცირე ერთნაწილიანი ნაწარმოებები სიმფონიური ორკესტრისათვის . | 100 | 150 | 250 | 300 |
| 20. რომანსები ხმისათვის ორკესტრთან ერთად . . . . . . . . . . | 75 | 150 | 200 | 250 |
| 21. ციკლური ნაწარმოებები საესტრადო ორკესტრებისათვის, ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრებისა სხვა ორკესტრებისათვის . . . . . | 150 | 350 | 500 | 700 |
| 22. მარშები სასულე ორკესტრებისათვის | 50 | 150 | 250 | 300 |
| 23. ცეკვები და მცირე პიესები საესტრადო ორკესტრებისათვის, ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრებისა და სხვა ორკესტრებისათვის . . | 50 | 100 | 150 | 250 |
| 24. დიდი ფორმის კამერული ანსამბლები (ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი, სონატები) . . . . . . . . . . . | 500 | 800 | 1200 | 1500 |
| 25. სიუიტები კამერული ანსამბლისათვის | 200 | 350 | 550 | 750 |
| 26. მცირე კამერული ნაწარმოებები (პრელუდია. ნოქტიურნი და სხვ.) . | 30 | 70 | 120 | 150 |
| 27. დიდი ნაწარმოებები გუნდისათვის უაკომპანემენტოდ . . . . . . | 100 | 500 | 800 | 1200 |
| 28. მცირე ფორმის ნაწარმოებები გუნდისათვის უაკომპანემენტოდ . . | 50 | 150 | 200 | 300 |
| 29. დიდი საგუნდო ნაწარმოებები ინსტრუმენტული აკომპანემენტით . . | 100 | 300 | 500 | 800 |
| 30. მცირე ფორმის ნაწარმოებები გუნდისათვის ინსტრუმენტული აკომპანემენტით . . . . . . . . . | 50 | 100 | 200 | 250 |
| 31. რომანსები. ბალადები . . . . | 50 | 100 | 150 | 200 |
| 32. მუსიკა სიმღერებისათვის . . . | 40 | 70 | 100 | 150 |
| 33. მუსიკა თეატრალურ-დრამატული დადგმებისათვის . . . . . . . | 100 | 200 | 400 | 700 |

შენიშვნა: 1. ერთაქტიანი ოპერის, ბალეტის, ოპერეტის, მუსიკალური კომედიის მუსიკა ანაზღაურდება სრული განაკვეთის 25-დან 40 პროცენტამდე ნაწარმოების მნიშვნელობის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ხალხური სიმღერების დამუშავება ანაზღაურდება ორიგინალური ნაწარმოების განაკვეთის 25-დან 50 პროცენტამდე.
3. ინსტრუმენტული გადმოღება (თავისუფალი) ანაზღაურდება ორიგინალური ნაწარმოების განაკვეთის 25-დან 50 პროცენტამდე.
4. ინსტრუმენტული გადმოღება (უბრალო) ანაზღაურდება ორიგინალური ნაწარმოების განაკვეთის 15-დან 25 პროცენტამდე.
5. შექმნილი პიესის ახალი სცენური რედაქცია გაუთანაბრდეს ინსცენირებას. გასამრჯელო გაიცეს მოქმედი ნორმების მიხედვით როგორც ინსცენირებისათვის — 25-დან 50 პროცენტამდე.

| ნაწარმოებთა სახეობანი | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები (მანეთი) | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 |
| **მუსიკასთან დაკავშირებული ლიტერატურული ნაწარმოებები** | | | | |
| 34. მრავალაქტიანი ოპერის ლიბრეტო | 800 | 1500 | 2000 | 2500 |
| 35. მრავალაქტიანი ოპერეტის, მუსიკალური კომედიის ლიბრეტო . . . | 500 | 1000 | 1500 | 2500 |
| 36. მრავალაქტიანი ბალეტის ლიბრეტო | 300 | 500 | 700 | 800 |
| 37. ორატორიის ლიბრეტო . . . . | 100 | 250 | 350 | 500 |
| 38. მრავალაქტიანი ოპერის, ოპერეტის, მუსიკალური კომედიის ლიბრეტოს თარგმნა . . . . . . . . . | 200 | 500 | 800 | 1000 |
| 39. პოემის, კანტატის ლიბრეტო . . | 75 | 150 | 250 | 350 |
| 40. ერთაქტიანი ოპერის, ოპერეტის, მუსიკალური კომედიის ლიბრეტოს თარგმნა . . . . . . . . . . | 100 | 200 | 350 | 500 |

შენიშვნა: ერთაქტიანი ოპერის, ოპერეტის, მუსიკალური კომედიის, ბალეტის ლიბრეტო ანაზღაურდება შესაბამისი მრავალაქტიანი ნაწარმოების ლიბრეტოს განაკვეთის 25-დან 40 პროცენტამდე ნაწარმოების მნიშვნელობის მიხედვით.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ნაწარმოებები ესტრადისა და ცირკისათვის** | | | | |
| 41. სკეტჩები, დრამატული ეტიუდები | 75 | 100 | 150 | 200 |
| 42. ფელეტონები, მინიატურები, ინტერმედიები, კონფერანსები (გამჭოლი), მოთხრობები, ნოველები, მონოლოგები . . . . . . . . . . . | 50 | 100 | 150 | 200 |
| 43. ტექსტები სიმღერებისათვის . . | 35 | 60 | 80 | 100 |
| 44. კუპლეტები და შაირები (ოთხტაეპიანი ლექსისათვის) . . . . . | 35 | 7,5 | 10 | 15 |
| 45. მუსიკა კუპლეტებისა და შაირებისათვის . . . . . . . . . . . | 25 | 35 | 40 | 50 |

შენიშვნა: კუპლეტებისათვის შექმნილი ორნაწილიანი მუსიკა ანაზღაურდება ამ დანართის 32-ე პუნქტის შესაბამისად.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 46. საესტრადო ნომრებისა და ორიგინალური ჟანრის ნომრების მონტაჟები, კომპოზიციები, ლიტერატურული გაფორმება . . . . . . . . . | 40 | 55 | 70 | 100 |
| 47. შესავალი მონოლოგი წამყვანისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები | 30 | 50 | 70 | 100 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ნაწარმოებთა სახეობანი | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები (მანეთი) | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 |
| 48. კოლექტივის შესასრულებლად განკუთვნილი პროლოგი და ფინალი . | 90 | 100 | 110 | 120 |
| 49. მოკლე დიალოგი (ინტერმედია) . | 10 | 25 | 30 | 40 |
| 50. მოკლე გალექსილი ტექსტი . . . | 10 | 25 | 40 | 50 |
| 51. რაიოკი . . . . . . . . . . . | 50 | 60 | 70 | 80 |
| 52. ანტრეს ლიტერატურული გადამუშავება . . . . . . . . . . | 40 | 50 | 60 | 80 |
| 53. კლოუნის ანტრე, მუსიკალურ ექსცენტრიკოსთა ანტრე . . . . . | 80 | 120 | 150 | 200 |
| 54. ცალკე რეპრიზი . . . . . . . . | 30 | 40 | 60 | 80 |
| 55. პანტომიმა, სიუჟეტური საცირკო წარმოდგენა (ლიბრეტო და ტექსტი) | 450 | 600 | 800 | 1000 |
| 56. საცირკო ნომრის სცენარი (ახალი ორიგინალური ნომრის სიუჟეტური, სატრიუკო და ტექნიკური დამუშავება) . . . . . . . . . . . | 100 | 150 | 250 | 300 |
| 57. საცირკო ატრაქციონის სცენარი (ახალი ორიგინალური ატრაქციონის სიუჟეტური, სატრიუკო და ტექნიკური დამუშავება) . . . . . | 200 | 300 | 600 | 800 |
| 58. მუსიკალური შესავალი, ანტრაქტი საცირკო ან საესტრადო წარმოდგენისათვის . . . . . . . . . | 30 | 50 | 100 | 200 |
| 59. მარში, გალოპი, ინტერმეცო, ვალსი, რომანსი და სხვა მცირე პიესები . | 50 | 100 | 150 | 250 |
| 60. საცირკო ან საესტრადო ნომრის აკომპანემენტისათვის განკუთვნილი მცირე მუსიკალური ნაწარმოებები . | 10 | 20 | 35 | 50 |
| 61. საცირკო ან საესტრადო ნომრის მუსიკალურ-კომპილაციური გაფორმება | 10 | 20 | 30 | 40 |
| 62. სიუჟეტური საესტრადო წარმოდგენის სცენარი და ტექსტი . . . | 500 | 800 | 1000 | 1500 |
| 63. მასობრივი დღესასწაულის ლიტერატურული სცენარი . . . . . . | 100 | 250 | 500 | 700 |

**შენიშვნა:** ესტრადისა და ცირკისათვის განკუთვნილ ლიტერატურულ ნაწარმოებთა თარგმანი ანაზღაურდება ორიგინალური ნაწარმოებებისათვის დაწესებული განაკვეთის 50 პროცენტით ოდენობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 25 თებერვლის № 133
დადგენილებით

# ინსტრუქცია

## „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა გამოცემისათვის, საჯაროდ შესრულებისა და სხვა სახით გამოყენებისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთებისა და გადახდის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების გამოყენების თაობაზე

### I. ნაწარმოებთა საჯაროდ შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთების გამოყენების წესი

1. საავტორო გასამრჯელო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების № 1 დანართით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით დაირიცხება დრამატული, მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების, საკონცერტო, საცირკო და საცეკვაო პროგრამების საჯაროდ შესრულებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე საჯაროდ შესრულებისათვის ცენტრალიზებული ანგარიშსწორებისას საავტორო გასამრჯელო დაირიცხება ამ ტერიტორიაზე მოქმედი განაკვეთების მიხედვით.

2. საავტორო გასამრჯელო ნაწარმოებთა საჯაროდ შესრულებისათვის დაირიცხება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების № 1 დანართში აღნიშნული სრული განაკვეთის მიხედვით როგორც იმ შემთხვევებში, როცა დასარიცხი გასამრჯელოს მთელი თანხა უნდა მიეცეთ ავტორებს, ისე იმ შემთხვევებშიც, როცა გასამრჯელოს ნაწილი არ უნდა გაიცეს (მაგალითად, საკონცერტო, საესტრადო ან საცირკო პროგრამა შედგება ნაწარმოებებისაგან, რომლებსაც იცავს, ან არ იცავს საავტორო უფლება; პიესა დაწერილია განუყოფელი თანაავტორობით და ერთ-ერთი თანაავტორის უფლებას არ იცავს საავტორო უფლება კანონით დადგენილი ვადის გასვლის გამო და ა. შ.).

3. საავტორო გასამრჯელო დაირიცხება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების № 1 დანართში აღნიშნული განაკვეთების მიხედვით აგრეთვე ყველა მუსიკალური კონცერტისათვის, რომლებიც მთლიანად შედგება ისეთი ნაწარმოებებისაგან, რომელთაც საავტორო უფლება არ იცავს.

4. საავტორო გასამრჯელოს დარიცხული თანხები, რომლებიც ავტორებს არ მიეცემათ, ისეთი ნაწარმოებებისათვის, რომელთაც საავტორო უფლება არ იცავს (კონცერტებში შესრულებულ მუსიკალურ ნაწარმოებთა გარდა) ან გამოცხადებულია სახელმწიფოს კუთვნილებად, აგრეთვე ნაწარმოებებისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთა საავტორო უფლება შესყიდული აქვს სახელმწიფოს, გადაეცემა სა-ქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალში. „სსრ კავშირის მუსიკალური ფონდის შექმნის შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 20 სექტემბრის № 1511 დადგენილების შესაბამისად (სსრკ დადგ. კრებ.,1939 წ., № 53, მუხ. 460) შესაბამისად გასამრჯელო კონცერტებში ისეთი მუსიკალური ნაწარმოებების შესრულებისათვის, რომელთაც საავტორო უფლება არ იცავს (მათ შორის მთლიანად შედგება მუსიკალური ნაწარმოებებისაგან, რომელთაც საავტორო უფლება არ იცავს) გადაეცემა სსრ კავშირის მუსიკალურ ფონდს.

5. კონცერტებისათვის, რომლებიც მთლიანად შედგება სახელმწიფოს კუთვნილებად გამოცხადებული ნაწარმოებებისაგან, აგრეთვე ისეთი ნაწარმოებებისაგან, რომელთა საავტორო უფლება შესყიდული აქვს სახელმწიფოს, საავტორო გასამრჯელო არ დაირიცხება.

საავტორო გასამრჯელო არ დაირიცხება საავტორო უფლებით დაუცავი ან სახელმწიფოს კუთვნილებად გამოცხადებული დრამატული და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების (პიესების, ოპერების, ოპერეტების, ბალეტების), აგრეთვე ისეთი დრამატული და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების საჯაროდ შესრულებისათვის, რომელთა საავტორო უფლება შესყიდული აქვს სახელმწიფოს.

6. თუ ოპერის, ბალეტის ან ოპერეტის მუსიკა დაცულია საავტორო უფლებით, ხოლო ლიბრეტო დაცული არ არის, ანდა პირიქით, საავტორო გასამრჯელო დაირიცხება მხოლოდ იმ ნაწარმოებისათვის (მუსიკა ან ლიბრეტო), რომელსაც საავტორო უფლება იცავს.

7. საავტორო გასამრჯელოს დარიცხვისას ნაწარმოებებს, რომელთაც საავტორო უფლება არ იცავს, უნდა მიეკუთვნოს:

ა) ხალხური შემოქმედების ნაწარმოებები, რომელთა ავტორები ცნობილი არ არიან;

ბ) იმ გარდაცვლილ ავტორთა ნაწარმოებები, რომელთაც მემკვიდრეები არა ჰყავთ ან მათ დაკარგეს საავტორო უფლება კანონით დაწესებული ვადის გასვლის გამო;

გ) უცხოეთის სახელმწიფოების მოქალაქეთა კუთვნილი ნაწარმოებები, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ნაწარმოებები პირველად გამოქვეყნდა სსრ კავშირის ტერიტორიაზე ან დაცულია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა ან საერთაშორისო შეთანხმებათა შესაბამისად, რომლებშიც მონაწილეობს სსრ კავშირი.

8. საავტორო გასამრჯელო საკონცერტო, საესტრადო და საცირკო პროგრამებისათვის დაირიცხება, მიუხედავად იმისა, ნაწარმოები ჟღერს მსახიობთა შესრულებით თუ მექანიკური ჩანაწერით, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა სრულდება მექანიკურად ჩაწერილი მუსიკა საცეკვაო მოედნებზე უფასოდ შესვლისას (ამ ინსტრუქციის 31-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი).

9. მრავალაქტიან დრამატულ და მუსიკალურ-დრამატულ ნაწარმოებად ჩაითვლება ისეთი ნაწარმოები, რომელსაც აქვს, როგორც წესი, სულ ცოტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი აქტი. ორაქტიანი ნაწარმოები ჩაითვლება მრავალაქტიანად, თუ მას მთელი სპექტაკლი უკავია.

ნაწარმოები, რომელსაც არა აქვს აქტების რაოდენობის აღნიშვნა, შეიძლება ჩაითვალოს მრავალაქტიანად საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დასკვნით.

10. ნაწარმოები ლექსად დაწერილად ჩაითვლება, თუ სცენიდან წარმოთქმული ტექსტის ნახევარი მაინც გადმოცემულია ლექსის ფორმით (გარითმულ, თეთრ ან თავისუფალ ლექსად).

11. ნაწარმოებში აქტების რაოდენობა და გალექსილი ტექსტის მოცულობა განისაზღვრება იმ ეგზემპლარის მიხედვით, რომელიც ადასტურებს, რომ ნაწარმოები ნებადართულია საჯარო შესრულებისათვის.

12. თუ სპექტაკლი შეიცავს რამდენიმე ერთაქტიან ნაწარმოებს ან ერთაქტიან და მრავალაქტიან ნაწარმოებებს, გასამრჯელო დაირიცხება თითოეული ნაწარმოებისათვის ცალ-ცალკე, მისთვის დაწესებული განაკვეთის მიხედვით.

თუ სპექტაკლი შეიცავს ერთაქტიან და ორაქტიან ნაწარმოებებს, გასამრჯელო ერთაქტიანი ნაწარმოებებისათვის დაირიცხება მისთვის დაწესებული განაკვეთის მიხედვით, ხოლო ორაქტიანისათვის — იმ განაკვეთის ორი მესამედის ოდენობით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი მრავალაქტიანი ნაწარმოებებისათვის.

თუ ერთაქტიანი ნაწარმოები სრულდება საკონცერტო პროგრამაში, სადაც მთელი განყოფილება უკავია, ამ ნაწარმოებისათვის გასამრჯელო დაირიცხება მისთვის დაწესებული განაკვეთის მიხედვით და, გარდა ამისა, დაირიცხება იმ განაკვეთის ნახევარი, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი საკონცერტო პროგრამისათვის.

თუ სპექტაკლი შეიცავს ორ ორაქტიან ნაწარმოებს, გასამრჯელო თითოეული ნაწარმოებისათვის დაირიცხება იმ განაკვეთის ნახევრის ოდენობით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი მრავალაქტიანი ნაწარმოებებისათვის.

13. პიესა-ინსცენირებებს განეკუთვნება აგრეთვე ისეთი პიესები, რომლებიც დაწერილია სხვა ნაწარმოებთა, მათ შორის ხალხური შემოქმედების ნაწარმოებთა მოტივების მიხედვით,

შენიშვნა: საბავშვო პიესები, რომლებიც დაწერილია ხალხური ზღაპრების მოტივების მიხედვით, გაუთანაბრდება ორიგინალურ ნაწარმოებებს. იმ ლიტერატურული ზღაპრების მოტივების მიხედვით დაწერილი საბავშვო პიესები, რომელთაც საავტორო უფლება არ იცავს, ორიგინალურ ნაწარმოებებს გაუთანაბრდება მხოლოდ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დასკვნის თანახმად. საკუთარ ნაწარმოებთა მოტივების მიხედვით დაწერილი პიესები გაუთანაბრდება ორიგინალურს, თუ ინსცენირება შესრულებულია უთანაავტორებოდ.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების № 1 დანართის მე-5 და მე-6 პუნქტებით პიესა-ინსცენირებისათვის გათვალისწინებული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები გამოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყენება ყველა შემთხვევაში, როცა ინსცენირება დაწერილია და სრულდება, მიუხედავად იმისა, თუ რა ენაზეა დაწერილი ინსცენირებული ნაწარმოები.

15. თუ ნაწარმოები ავტორმა შექმნა ორ ან რამდენიმე ენაზე, ამასთან აღნიშნული არა აქვს, რომელი ტექსტია ორიგინალური და რომელი — თარგმნილი, იგი ჩაითვლება ორიგინალურ ნაწარმოებად თითოეულ ამ ენაზე.

16. თუ პიესის თარგმანი სსრ კავშირის რომელიმე ხალხის ენაზე განხორციელებულია არა ორიგინალიდან, არამედ სხვა, საშუალედო თარგმანიდან, საშუალედო თარგმანის ავტორს გასამრჯელო არ მიეცემა.

17. საავტორო უფლებით დაცული პიესა-ინსცენირების თარგმანისათვის საავტორო გასამრჯელო დაირიცხება ორიგინალურ ნაწარმოებთა თარგმანისათვის დაწესებული განაკვეთების მიხედვით. თარგმნილი ნაწარმოების ავტორისათვის დარიცხული გასამრჯელოს თანხა ასეთ შემთხვევებში გაიყოფა ინსცენირებული ნაწარმოების ავტორსა და ინსცენირების ავტორს შორის იმავე თანაფარდობით, როგორც გაიყოფა მათ შორის გასამრჯელო ინსცენირებისათვის, ორიგინალში მისი შესრულებისას.

თუ ინსცენირებულ ნაწარმოებს საავტორო უფლება არ იცავს, მისი ავტორის წილი იმგვარად განისაზღვრება, თითქოს ნაწარმოები დაცული იყოს, და ამ წილის შემადგენელი გასამრჯელოს თანხა გადაიცემა საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალში.

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების № 1 დანართის 9-15 პუნქტებით გათვალისწინებული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები მუსიკალურ-დრამატულ ნაწარმოებთა შესრულებისათვის გამოიყენება აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა ნაწარმოები დაიდგმება საკონცერტო შესრულებით.

19. თუ ოპერის, ბალეტის ან ოპერეტის ლიბრეტო დაწერილია საავტორო უფლებით დაცული სხვა ლიტერატურული ნაწარმოების საფუძველზე, ამ ნაწარმოების ავტორს გასამრჯელო მიეცემა შემდეგი ოდენობით: ოპერის ან ბალეტის შესრულებისათვის — ლიბრეტოს ავტორისათვის დაწესებული გასამრჯელოს განაკვეთის ერთი მეოთხედი და ოპერეტის შესრულებისათვის — ერთი მესამედი, თუ იმ ნაწარმოებს, რომლის საფუძველზეც დაწერილია ლიბრეტო, საავტორო უფლება არ იცავს, გასამრჯელოს წილი, რომელიც აღნიშნული ნაწარმოების ავტორს უნდა მისცემოდა, ჩაირიცხება საქართველოს სს რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალში.

20. ოპერეტების ლიბრეტოს ვარიანტები და ახალი ქვეტექსტები უცხოელ კომპოზიტორთა მუსიკის გამოყენებით გაუთანაბრდება თარგმანებს (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების № 1 დანართის მე-15 პუნქტი).

21. დრამატულ თეატრში დადგმული ოპერეტისა და მუსიკალური კომედიისათვის საჯარო შესრულების გასამრჯელო დაირიცხება იმ განაკვეთების მიხედვით, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების № 1 დანართის მე-13, მე-14 და მე-15 პუნქტებით ოპერეტებისა და მუსიკალური კომედიისათვის დაწესებული განაკვეთების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. დრამატული სპექტაკლების მუსიკისათვის გასამრჯელო დაირიცხება მუსიკის აკომპანემენტით შესრულებული სპექტაკლის თითოეულ აქტში, დამოუკიდებლად მუსიკალური ნომრების რაოდენობისა, აგრეთვე იმისა, მუსიკა ჟღერს მუსიკოსთა შესრულებით თუ მექანიკური ჩანაწერის მიხედვით.

თუ საავტორო უფლებით დაცული მუსიკა სრულდება მრავალაქტიანი სპექტაკლის ყველა აქტში, საავტორო გასამრჯელო დაირიცხება მთლიანი შემოსავლის თანხის 2 პროცენტის ოდენობით (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების № 1 დანართის მე-16 პუნქტი).

თუ სპექტაკლის ცალკეული აქტები მიდის უმუსიკოდ ან მთლიანად ისეთი მუსიკის აკომპანემენტით, რომელსაც საავტორო უფლება არ იცავს, საავტორო გასამრჯელო დაირიცხება მხოლოდ იმ აქტებისათვის, რომლებიც საავტორო უფლებით დაცული მუსიკის აკომპანემენტით სრულდება, თითოეული აქტის მთლიანი შემოსავლის თანხის 0,5 პროცენტის ოდენობით (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების № 1 დანართის მე-17 პუნქტი).

თუ პიესასა და სპექტაკლში აქტების რაოდენობა ერთმანეთს არ შეესაბამება, საავტორო გასამრჯელო მუსიკალური აკომპანემენტისათვის დაირიცხება სპექტაკლის აქტების რაოდენობის მიხედვით.

თუ სპექტაკლი, რომელსაც მთელი საღამო უკავია, დადგმულია ორ განყოფილებად ან ორ ნაწილად და ამასთან ორივე განყოფილება სრულდება საავტორო უფლებით დაცული მუსიკის აკომპანემენტით, და მუსიკალური ნომრების რაოდენობა 12-ს აღემატება, გასამრჯელო დაირიცხება 2 პროცენტის ოდენობით (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების № 1 დანართის მე-16 პუნქტი).

23. თუ საკონცერტო პროგრამაში, საესტრადო ნაწარმოებებთან ერთად, შესრულდება თუნდაც ერთი დიდი სიმფონიური ან ვოკალურ-სიმფონიური ნაწარმოები (სიმფონია, ორატორია, კანტატა, სიმფონიური პოემა ან უვერტიურა, ინსტრუმენტული კონცერტი ორკესტრისათვის და ა. შ.) ან დიდი ფორმის კამერული ნაწარმოები (ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი, სონატა), საავტორო გასამრჯელო ასეთი საკონცერტო პროგრამისათვის დაირიცხება ბილეთების გაყიდვით მიღებული მთელი შემოსავლის თანხის 5 პროცენტის ოდენობით როგორც სიმფონიური, ვოკალურ-სიმფონიური და კამერული ნაწარმოებების კონცერტისათვის.

ისეთი ნაკრები საკონცერტო პროგრამის შესრულების ყველა დანარჩენ შემთხვევაში, რომელშიც შედის როგორც მცირე ფორმის სიმფონიური, ვოკალურ-სიმფონიური და კამერული ნაწარმოებები, ისევე სხვა (ლიტერატურული, საესტრადო და ა. შ.) ნაწარმოებები, საავტორო გასამრჯელო დაირიცხება მთლიანი შემოსავლის თანხის 3 პროცენტის ოდენობით.

24. საახალწლო ნაძვისხის წარმოდგენები გაუთანაბრდება საესტრადო კონცერტებს.

თუ საახალწლო ნაძვისხის წარმოდგენის პროგრამაში შეტანილ იქნება დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები, საავტორო გასამრჯელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი ნაწარმოებისათვის დაირიცხება იმ განაკვეთების მიხედვით, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების № 1 დანართით დაწესებულია დრამატული და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებებისათვის, და ამ ინსტრუქციის მე-12 პუნქტში ჩამოყალიბებული წესების დაცვით.

საცირკო საახალწლო ნაძვისხის წარმოდგენა, თუ იგი სპეციალურად დაწერილია ცირკისათვის, გაუთანაბრდება პანტომიმას.

თუ საახალწლო ნაძვისხის წარმოდგენის ბილეთების ღირებულებაში შეტანილ იქნება საჩუქრების ღირებულება, მაშინ გაყიდული ბილეთებისაგან მიღებული მთლიანი შემოსავლის თანხიდან გასამრჯელოს დარიცხვისას საჩუქრების ღირებულება გამოირიცხება აღნიშნული თანხიდან.

25. კონცერტისა და ცეკვებისაგან შემდგარი პროგრამისათვის, თუ შესასვლელი ფასი ერთიანია, საავტორო გასამრჯელო დაირიცხება როგორც საესტრადო კონცერტისათვის, — მთლიანი შემოსავლის თანხის 3 პროცენტის ოდენობით.

26. საავტორო გასამრჯელო საცირკო პროგრამისათვის მთლიანი შემოსავლის თანხის 0,5 პროცენტის ოდენობით დაირიცხება, თუ პროგრამა სრულდება ცირკის არენაზე ანდა კონცერტი შედგება მხოლოდ საცირკო ნომრებისაგან; ნაკრები პროგრამის შემადგენლობაში საცირკო გამოსვლების ყველა დანარჩენ შემთხვევაში გასამრჯელო დაირიცხება როგორც საესტრადო კონცერტისათვის.

27. საავტორო გასამრჯელო მუსიკისათვის, რომლის აკომპანემენტითაც სრულდება თოჯინა-მარიონეტების სპექტაკლი (ლიტერატურული ტექსტის გარეშე) და ორიგინალური ჟანრების მსახიობთა (ილუზიონისტთა, ფსიქოექსპერიმენტატორთა და ა. შ.) გამოსვლები, დაირიცხება მთლიანი შემოსავლის თანხის 0,25 პროცენტის ოდენობით მთელი სპექტაკლისათვის ან კონცერტის თითოეული განყოფილებისათვის, რომელშიც ჟღერს საავტორო უფლებით დაცული მუსიკა.

28. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების № 1 დანართის 25-ე პუნქტით დაწესებული განაკვეთის მიხედვით საავტორო გასამრჯელო დაირიცხება მასობრივ არენებზე შესრულებული თეატრალიზებული, საესტრადო, საცირკო წარმოდგენებისა და კონცერტებისათვის.

თუ მასობრივ არენაზე სრულდება დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები, საავტორო გასამრჯელო მისთვის დაირიცხება იმ განაკვეთების მიხედვით, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების № 1 დანართით დაწესებულია დრამატული და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებებისათვის.

**შენიშვნა:** მასობრივ არენებად ჩაითვლება სტადიონები, სპორტის სასახლეები, დახურული და ღია მოედნები, სადაც ადგილების რაოდენობა 3 ათასს აღემატება. მოედნები, რომლებსაც არა აქვთ მაყურებელთათვის განსაზღვრული რაოდენობის ადგილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

(პარკები და ა. შ.), მასობრივ არენას გაუთანაბრდება, თუ მოცემული წარმოდგენის ან პროგრამისათვის ფაქტიურად გაიყიდა 3 ათასზე მეტი შესასვლელი ბილეთი.

## II. ნაწარმოებთა საჯაროდ შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელოს დარიცხვისა და გადახდევინების წესი

29. ნაწარმოებთა საჯაროდ შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელოს გადამხდელები არიან ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ მათს შესრულებას: თეატრები, საკონცერტო და საცირკო გაერთიანებები და კოლექტივები, საკონცერტო-საესტრადო ბიუროები, ფილარმონიები, ცირკები, კლუბები, კულტურის სახლები და სასახლეები (მათ შორის საკოლმეურნეო), მოყვარულთა თვითმოქმედი თეატრები, ოფიცერთა სახლები, კაფეები, რესტორანები, პარკები, ბაღები, სტადიონები, დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები და ა. შ.

30. ნაწარმოებთა საჯაროდ შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელო დაირიცხება ყველა შემთხვევაში მაყურებელთა როგორც ფასიანი, ისევე უფასო შესვლისას, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) როცა მაყურებელთა უფასო შესვლისას ნაწარმოებები საჯაროდ სრულდება მუზეუმებში, ლექტორიუმებში, ბიბლიოთეკებში, სასოფლო კლუბებში, სასოფლო კულტურის სახლებში, წითელ კუთხეებსა და სასწავლებლებში (სასწავლებელთა კლუბების გარდა);

ბ) როცა ნაწარმოები საჯაროდ სრულდება უფასოდ მაყურებლებისათვის და შემსრულებლებს ან შემსრულებელთა კოლექტივს არავითარი გასამრჯელო არ ეძლევათ;

გ) როცა საცეკვაო მოედნებზე სრულდება მუსიკა და შემსრულებლებს გასამრჯელო არ ეძლევათ, ანდა მუსიკა სრულდება მექანიკური ჩანაწერით უფასო შესვლისას;

დ) როცა ნაწარმოებებს საჯაროდ ასრულებენ კლუბების, კულტურის სახლების, კულტურის სასახლეების ცალკეული შტატის მუშაკები (ბაიანისტები, შემმქცევრები და სხვ.) უფასოდ შესვლისას.

31. საავტორო გასამრჯელო ნაწარმოებთა საჯაროდ შესრულებისათვის დაირიცხება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების № 1 დანართით დაწესებული ოდენობით:

ა) მთლიანი შემოსავლის თანხის პროცენტულად — იმ შემთხვევებში, როცა ბილეთების გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები შედის გადამხდელის სალაროში;

ბ) გარანტირებული ანაზღაურების თანხის პროცენტულად — იმ შემთხვევებში, როცა გადამხდელი გამოსვლებს ატარებს სხვა ორგანიზაციის (შემკვეთის) მოედანზე, ამასთან შემკვეთთან დადებული აქვს ხელშეკრულება მსახიობთა გამოსვლის გარანტირებული ანაზღაურების შესახებ; ხელშეკრულების მიხედვით გარანტირებული ანაზღაურების თანხა გაუთანაბრდება მთლიანი შემოსავლის თანხას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) შემსრულებელთათვის დარიცხული გასამრჯელოს (ხელფასის) თანხის პროცენტულად (5 პროცენტი) — იმ შემთხვევებში, როცა გადამხდელი არ ახდევინებს მაყურებლებს შესვლის საფასურს და არ იღებს ხელშეკრულების მიხედვით გარანტირებულ ანაზღაურებას, აგრეთვე ისეთ შემთხვევებში, როცა მუსიკა სრულდება საცეკვაო მოედნებზე.

**შენიშვნა:** შემკვეთთან (მოედნის მფლობელთან) დადებული ხელშეკრულების მიხედვით სპექტაკლის ან კონცერტის გარანტირებული ანაზღაურების თანხის დარიცხვისას ორგანიზაცია, რომლის სახელითაც გამოდის კოლექტივი, გამოსვლის უშუალო ღირებულებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების გარდა, მოვალეა გაითვალისწინოს აგრეთვე საავტორო გასამრჯელო (და ანარიცხები სსრ კავშირის ლიტერატურულ და მუსიკალურ ფონდებში).

32. ყველა პროფესიული თეატრი, დამოუკიდებელი საშემსრულებლო კოლექტივი, რომლებიც საკონცერტო ორგანიზაციების სისტემაში არ შედიან, და სტაციონარული ცირკები საავტორო გასამრჯელოს თავიანთი რეპერტუარის სპექტაკლების, კონცერტებისა და წარმოდგენების საჯაროდ შესრულებისათვის როგორც სტაციონარებზე, ისევე სხვა ორგანიზაციების კუთვნილ მოედნებზე გადაიხადონ ცენტრალიზებული წესით თავიანთი ბაზების ადგილსამყოფელის მიხედვით, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა მოძრავი და თოჯინების თეატრები, საშემსრულებლო კოლექტივები გამოდიან ადგილობრივ ფილარმონიებთან და საკონცერტო-საესტრადო ბიუროებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე (ამ შემთხვევაში გასამრჯელოს გადაიხდიან ფილარმონიები და საკონცრეტო-საესტრადო ბიუროები, რომლებიც გამოსვლებს მოაწყობენ).

33. ფილარმონიები და საკონცერტო-საესტრადო ბიუროები საავტორო გასამრჯელოს გადაიხდიან ცენტრალიზებული წესით, თავიანთი ადგილსამყოფელის მიხედვით, თავიანთი სოლისტების, კოლექტივებისა და ბრიგადების, აგრეთვე იმ მოძრავი და თოჯინების თეატრების, მოძრავი ცირკების, საკონცერტო და საცირკო ჯგუფების, სოლისტების, ბრიგადებისა და ანსამბლების ძალებით საჯაროდ შესრულებისათვის, რომლებიც სხვა ორგანიზაციების გამგებლობაში არიან, მაგრამ გამოდიან ფილარმონიასთან ან საკონცერტო-საესტრადო ბიუროებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე.

თუ ფილარმონიის (საკონცერტო-საესტრადო ბიუროს) კოლექტივი ან ბრიგადა გამოდის სხვა ფილარმონიასთან (საკონცერტო-საესტრადო ბიუროსთან) დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, საავტორო გასამრჯელოს გადაიხდის ის საკონცერტო ორგანიზაცია, რომელთანაც დადებული ხელშეკრულების მიხედვით ეწყობა გამოსვლები.

34. კლუბები, კულტურის სახლები და სასახლეები, ოფიცერთა სახლები, პარკები, ბაღები და სხვები გადაიხდიან საავტორო გასამრჯელოს ნაწარმოებთა საჯაროდ შესრულებისათვის, რაც მათს მოედნებზე განხორციელდება საკუთარი პროფესიული საშემსრულებლო კოლექტივების, სამხედრო ნაწილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშემსრულებლო კოლექტივეზისა და შრომითი შეთანხმებების საფუძველზე მოწვეულ შემსრულებელთა ძალებით.

თუ კლუბში, კულტურის სახლში ან სასახლეში და სხვაგან ნაწარმოებები საჯაროდ სრულდება თვითმოქმედი კოლექტივებისა და მოწვეული პროფესიული საშემსრულებლო კოლექტივების (თეატრების, დამოუკიდებელი საშემსრულებლო კოლექტივების, სტაციონარული ცირკების, აგრეთვე ფილარმონიებისა და საკონცერტო-საესტრადო ბიუროების ბრიგადების გარდა) ძალებით, საავტორო გასამრჯელოს გადაიხდის კლუბი, კულტურის სახლი ან სასახლე და ა. შ., იმ შემთხვევებში, როცა ბილეთების გაყიდვისაგან მიღებული თანხები მის სალაროში შედის. როცა მაყურებელთა შესვლა უფასოა, საავტორო გასამრჯელოს გადაიხდის ის ორგანიზაცია, რომელსაც ეკუთვნის საშემსრულებლო კოლექტივი, გარანტირებული საზღაურის თანხიდან, რაც მან ხელშეკრულებით მიიღო მოედნის მფლობელისაგან.

35. საჯაროდ შესრულებისათვის, რაც ხორციელდება საცირკო კოლექტივების ძალებით ფილარმონიებთან ან საკონცერტო-საესტრადო ბიუროებთან ხელშეკრულებების დაუდებლად, საავტორო გასამრჯელოს ცენტრალიზებული წესით გადაიხდის იმ ორგანიზაციის დირექცია, რომელშიც შედის კოლექტივი მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. მოძრავი ცირკები საავტორო გასამრჯელოს გადაიხდიან დამოუკიდებლად, გამოსვლის ადგილის მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი გამოდიან ფილარმონიასთან ან საკონცერტო-საესტრადო ბიუროსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

36. საავტორო გასამრჯელოს თეატრალიზებული, საესტრადო, საცირკო წარმოდგენებისა და კონცერტებისათვის, რომლებიც მასობრივ არენებზე (სტადიონები, სპორტის სასახლეები და ა. შ.) გაიმართება, გადაიხდის ის ორგანიზაცია, რომლის სალაროშიც შედის ბილეთების გაყიდვისაგან მიღებული მთლიანი შემოსავლის თანხა.

37. საავტორო გასამრჯელო მოედნებზე ნაწარმოებთა საჯაროდ შესრულებისათვის, როცა ამ მოედნებზე შესვლისათვის ცალკე საფასურს არ იხდიან (თეატრის ფოიეში, სპექტაკლის დაწყებამდე და შემდეგ ან ანტრაქტებში, კინოთეატრის ფოიეში, კაფეებსა და რესტორანებში, ღია მოედნებზე პარკებში, ბაღებში და სტადიონებზე და ა. შ.). დაირიცხება ან შემსრულებელთა გასამრჯელოს თანხიდან, ან გასამრჯელო მიეცემათ შემსრულებლებს უშუალოდ მოედნის ადმინისტრაციის მიერ, ანდა მოედნის ადმინისტრაციასა და შემსრულებლების გამომგზავნ ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულების თანხიდან. უკანასკნელ შემთხვევაში საავტორო გასამრჯელოს გადაიხდის ორგანიზაცია, რომელმაც საშემსრულებლო კოლექტივი გამოგზავნა.

38. საავტორო გასამრჯელოს ყველა გადამხდელი მოვალეა ზუსტად აღრიცხოს შესრულებული ნაწარმოებები და წარუდგინოს საავტორო უფლებათა სრულიად საკავშირო სააგენტოს საქართველოს განყოფილების რწმუნებულებს მათი პირველი მოთხოვნისთანავე დაწესებული ფორმის ცნობები ფაქტიურად შესრულებულ ნაწარმოებთა სახელწოდების, მათი ავტორების (მათ შორის მუსიკისა და ტექსტის ავტორების, მთარგმნელების) გვარებისა და ინიციალე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის, აგრეთვე შემოსავლის თანხების (როცა შესვლა ფასიანია), ხელშეკრულე-
ბის მიხედვით გარანტირებული საზღაურის თანხების და გასამრჯელოს (ხელ-
ფასის) თანხების შესახებ, რომლებიც შემსრულებლებს დაერიცხათ (როცა შე-
სვლა უფასოა და მუსიკა სრულდება ცეკვებზე).

ცნობების დროულად წარდგენისათვის, მათი სისწორისა და სისრულისა-
თვის პირადი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ გადამხდელი ორგანიზაციის
ხელმძღვანელს, აგრეთვე მოძრავი საშემსრულებლო კოლექტივების ხელმძღვა-
ნელებსა და ადმინისტრატორებს.

39. გადამხდელი მოვალეა წარუდგინოს საავტორო უფლებათა სრულიად
საკავშირო სააგენტოს საქართველოს განყოფილების რწმუნებულს შესამოწმე-
ბლად საავტორო გასამრჯელოს გადასახდელი თანხების გაანგარიშება, რის შე-
მდეგაც საბოლოოდ გაფორმებულ საანგარიშსწორებო ფურცლებს სამ ეგზე-
მპლარად ხელს მოაწერენ გადამხდელი ორგანიზაციის ხელმძღვანელები, და
ისინი დამოწმდება გადამხდელის ბეჭდით.

საანგარიშსწორებო ფურცლის ერთი ეგზემპლარი დარჩება გადამხდელ-
თან, ორი ეგზემპლარი მიეცემა საავტორო უფლებათა სრულიად საკავშირო
სააგენტოს საქართველოს განყოფილების რწმუნებულს. იმ შემთხვევებში, რო-
ცა ცნობებს საკონცერტო ან სხვა ნაკრებ პროგრამაში შესრულებულ ნაწარ-
მოებთა და მათ ავტორთა შესახებ წარადგენენ პატაკის (შესრულების პროგ-
რამის) სახით, ამ უკანასკნელს ხელს მოაწერს შესრულებული პროგრამისათ-
ვის პასუხისმგებელი პირი, იგი დამოწმდება გადამხდელის ბეჭდით და მიეცემა
საავტორო უფლებათა სრულიად საკავშირო სააგენტოს საქართველოს განყო-
ფილების რწმუნებულს არა უგვიანეს საანგარიშსწორებო ფურცლების მიცე-
მის დროისა.

40. გადამხდელი მოვალეა მის მიერ საანგარიშსწორებო ფურცლის ხელ-
მოწერის დროიდან ათი დღის ვადაში გადარიცხოს საავტორო გასამრჯელოს იქ
აღნიშნული თანხები საავტორო უფლებათა სრულიად საკავშირო სააგენტოს
საქართველოს განყოფილების მიმდინარე ანგარიშზე.

41. გადამხდელი მოვალეა წარუდგინოს საავტორო უფლებათა სრუ-
ლიად საკავშირო სააგენტოს საქართველოს განყოფილების რწმუნებულს გასა-
სინჯად ყველა დოკუმენტი, რაც დაკავშირებულია ნაწარმოებთა საჯაროდ შე-
სრულებისათვის საავტორო გასამრჯელოს ანგარიშსწორებასთან.

42. სამსახურებრივი მოწმობის წარდგენის შემდეგ საავტორო უფლებათა
სრულიად საკავშირო სააგენტოს საქართველოს განყოფილების რწმუნებულს
უფლება აქვს თავისუფლად შევიდეს ყველა სანახაობითი საწარმოსა და კულ-
ტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების მაყურებელთა დარბაზებში სამ-
სახურებრივ საქმეებზე, მაგრამ ისე, რომ მას არ მიეცემა მუდმივი ადგილები.

### III. ნაწარმოებთა საჯაროდ შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელოს გაცემის წესი

43. ნაწარმოებთა საჯაროდ შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელო
გაიცემა საავტორო უფლებათა სრულიად საკავშირო სააგენტოს საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილების მეშვეობით, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არის ავტორთა და მათ უფლებამონაცვლეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების წარმომადგენელი ნაწარმოებთა საჯაროდ შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელოს ყველა საკითხში.

44. საავტორო გასამრჯელო გაიცემა მხოლოდ იმ ნაწარმოებთა საჯაროდ შესრულებისათვის, რომელთა შესრულება ნებადართულია და სათანადო წესით რეგისტრირებულია ავტორების მიერ.

45. საკონცერტო, საცირკო და სხვა პროგრამებისათვის, რომლებიც სხვადასხვა ავტორის რამდენიმე ნაწარმოებისაგან შედგება, გასამრჯელოს ავტორთა შორის გაანაწილებს საავტორო უფლებათა სრულიად საკავშირო სააგენტოს საქართველოს განყოფილება.

46. თუ დრამატული ან მუსიკალური ნაწარმოები, რომელსაც საავტორო უფლება არ იცავს (ხალხური შემოქმედების ნაწარმოებთა გარდა), სახელმწიფოს კუთვნილებად გამოცხადებული ნაწარმოები, აგრეთვე ისეთი ნაწარმოები, რომლის საავტორო უფლება შესყიდული აქვს სახელმწიფოს, ვინმემ გადაამუშავა (გადააკეთა, შეავსო, შეცვალა), ასეთი გადამუშავებული ნაწარმოების შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელო გადამუშავების ავტორს მიეცემა მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სპეციალური ნებართვა ნაწარმოების გადამუშავების თაობაზე, და ამ სამინისტროს მიერ განსაზღვრული ოდენობით.

47. თანამდებობის პირებს (დირექტორი, რეჟისორი, მუსიკალური ნაწილის გამგე, ანსამბლის ხელმძღვანელი და ა. შ.), რომლებზეც დამოკიდებულია სარეჟისორო-სადადგმო მუშაობა ან რეპერტუარის შედგენა თეატრში, ცირკში, საკონცერტო ორგანიზაციაში ან საშემსრულებლო კოლექტივში, საავტორო გასამრჯელო მათი საკუთარი, აგრეთვე მათ მიერ იმ ორგანიზაციაში თანაავტორობით დაწერილ ნაწარმოებთა შესრულებისათვის, სადაც ისინი მსახურობენ, მიეცემათ მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, თუ ამ შესრულებაზე წინასწარ იყო მიღებული ზემდგომი ორგანოების წერილობითი ნებართვა.

48. თანაავტორობით შექმნილ ნაწარმოებთა საჯაროდ შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელო განაწილდება თანაავტორთა შორის მათი შეთანხმების მიხედვით.

თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, გასამრჯელო თანაავტორთა შორის დამოუკიდებელი ნაწილებისაგან შედგენილი ნაწარმოებების (ოპერა, ბალეტი, ოპერეტა) შესრულებისას განაწილდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების № 1 დანართით განსაზღვრული წესით, ხოლო ერთი განუყოფელი მთლიანი ნაწარმოებების (პიესა, ლიბრეტო, ოპერის მუსიკა და სხვ.) შესრულებისას განაწილდება თანაბრად, თუ სხვა წესს არ ითვალისწინებს საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

49. სათარგმნი ნაწარმოების ავტორსა და მთარგმნელს შორის, გასასცენიურებელი ნაწარმოების ავტორსა და გამასცენიურებელს შორის შესაძლებელია შეთანხმება საავტორო გასამრჯელოს სხვაგვარი განაწილების შესახებ, ვიდრე დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერვლის № 133 დადგენილების № 1 დანართით, მაგრამ იმ განაკვეთის ფარგლებში, რაც დაწესებულია მთელი თარგმნისა და ინსცენირებისათვის.

50. ამ ინსტრუქციის (მე-4, მე-18 და მე-20 პუნქტები) შესაბამისად რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალში გადასაცემი გასამრჯელო გადაირიცხება კვარტალში ერთხელ, არა უგვიანეს კვარტალის მომდევნო თვის 10 რიცხვისა.

## IV. დრამატულ, მუსიკალურ, მუსიკალურ-დრამატულ და ლიტერატურულ ნაწარმოებთა შესაქმნელად შეკვეთების შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთების გამოყენების წესი

51. საავტორო გასამრჯელო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების № 2 დანართით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით გაიცემა დრამატულ, მუსიკალურ, მუსიკალურ-დრამატულ და ლიტერატურულ ნაწარმოებთა შექმნის თაობაზე დადებული ხელშეკრულებების მიხედვით მათი საჯაროდ შესრულებისათვის, აგრეთვე გამოუქვეყნებელ დრამატულ, მუსიკალურ, მუსიკალურ-დრამატულ და ლიტერატურულ ნაწარმოებთა პირველი საჯარო შესრულების (დადგმის) შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში დადებული ხელშეკრულებების მიხედვით.

52. საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი დაწესდება ავტორთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ღირებულების, მისი მოცულობისა და მუშაობის სირთულის შესაბამისად. თუ მზა ნაწარმოების შექმნის ან შეკვეთის დროს ავტორს გასამრჯელო მიეცა ამ დადგენილების მე-2 დანართით გათვალისწინებული განაკვეთების არა უმაღლესი კატეგორიის მიხედვით, და ნაწარმოების განხორციელების შემდეგ იგი მიიღებს საზოგადოებრიობის მაღალ შეფასებას, განაკვეთების უმაღლესი კატეგორია შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების № 2 დანართში აღნიშნული განაკვეთების გამოყენება დამოკიდებული არ არის იმაზე, თუ ვის ექვემდებარება ორგანიზაცია, რომელმაც ხელშეკრულება დაუდო ავტორს.

53. დრამატულ, მუსიკალურ, მუსიკალურ-დრამატულ და ლიტერატურულ ნაწარმოებთა ავტორებს უფლება აქვთ დაუდონ ხელშეკრულებანი შეკვეთით ნაწარმოებთა შექმნის შესახებ მხოლოდ ერთ დაწესებულებას (ორგანიზაციას) და მიიღონ საავტორო გასამრჯელო მოცემული ნაწარმოების შექმნისათვის მხოლოდ ერთხელ ერთ დაწესებულებაში (ორგანიზაციაში).

54. ის გარემოება, რომ ავტორმა დადო ხელშეკრულება საჯაროდ შესრულებისათვის ნაწარმოების შექმნის შესახებ, მას ხელს არ უშლის დადოს საგამომცემლო ხელშეკრულება ამ ნაწარმოებზე მას შემდეგ, რაც იგი დამთავრდება, და მიიღოს გასამრჯელო გამოცემისათვის დაწესებული განაკვეთების მიხედვით.

ნაწარმოებზე საგამომცემლო ხელშეკრულების დადება ხელს არ უშლის ავტორს დადოს ხელშეკრულება ამ ნაწარმოების საჯაროდ შესრულების შესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებ ერთდროული გასამრჯელოს მიცემით, თუ ნაწარმოები დამთავრებულია, მაგრამ ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა; მაგრამ ასეთი ხელშეკრულების დადებისას ავტორი მოვალეა წერილობით აცნობოს მეორე მხარეს, რომ მას დადებული აქვს წერილობითი ხელშეკრულება გამომცემლობასთან და ამა და ამ ვადაში უნდა ჩააბაროს გამომცემლობას დამთავრებული ხელნაწერი. თუ ავტორს ასეთი ცნობა არ მიუცია და წიგნი მანამდე გამოქვეყნდა, ვიდრე ნაწარმოები სცენაზე დაიდგმებოდა, ანდა მანამდე, რაც გავიდა მისი დადგმის კანონით ან ხელშეკრულებით დაწესებული ვადა, იმ ორგანიზაციას, რომელმაც ავტორს დაუდო ხელშეკრულება ნაწარმოების საჯაროდ შესრულების შესახებ, უფლება აქვს მოსთხოვოს ავტორს დააბრუნოს მის მიერ მიღებული საავტორო გასამრჯელოს თანხები.

55. არ დაიშვება საავტორო გასამრჯელოს გაცემა ხელშეკრულებით, რომელიც შეეხება გამოუქვეყნებელი ნაწარმოების გადაკეთებას მოცემული თეატრის მოთხოვნების შესაბამისად. ასეთი ხელშეკრულების მიხედვით თეატრს შეუძლია მხოლოდ მისცეს ავტორს ავანსი მომავალი პროცენტული ანარიცხების ანგარიშში, 5 სპექტაკლისათვის იმ გასამრჯელოს ფარგლებში, რაც დარიცხულია სპექტაკლისათვის თეატრის საშუალო-წლიური დაგეგმილი შემოსავლის მიხედვით. თუ თეატრი უარს იტყვის დადგმაზე, ეს ავანსი დარჩება ავტორს.

პროცენტული ანარიცხების ანგარიშში ავანსი ავტორს შეიძლება მიეცეს ზემოაღნიშნული წესით აგრეთვე გამოუცემელი, მაგრამ უკვე ერთდროულად ანაზღაურებული ნაწარმოების დადგმის შესახებ დადებული ხელშეკრულებით იმ შემთხვევაში, როდესაც თეატრს სურს შეინარჩუნოს მოცემულ ქალაქში ამ ნაწარმოების პირველად დადგმის უფლება.

56. იმ შემთხვევაში, თუ ავტორმა ძირეულად გადაამუშავა თავისი გამოქვეყნებული ნაწარმოები, დასაშვებია ავტორს განმეორებით მიეცეს საავტორო გასამრჯელოს 75 პროცენტამდე — შესაბამისად — საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის, საქართველოს მწერალთა კავშირის ან ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში არსებული მათი კავშირებისა და ორგანიზაციების დასკვნით, იმ ვარაუდით, რომ ეს დასკვნა აუცილებლად დაამტკიცონ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ ან მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა.

57. აქტუალურ პოლიტიკურ თემებზე ესტრადისა და ცირკისათვის დაწერილ გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა გადამუშავების აუცილებლობის შემთხვევაში ავტორებს შეიძლება მიეცეთ გასამრჯელო ხელშეკრულებების მიხედვით საავტორო გასამრჯელოს შესაბამისი განაკვეთების 50 პროცენტამდე ფარგლებში.

58. ესტრადაზე და ცირკში შესასრულებლად შექმნილი ნაწარმოებებისათვის ერთდროული გასამრჯელოს განაკვეთი (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების № 2 დანართის პუნქტები 40-62) გამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) 6 და მეტი სტრიქონის შემცველი კუპლეტები ანაზღაურდება როგორც ორი ოთხტაეპიანი ლექსი, კუპლეტების მოცულობის მიუხედავად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოკლე დიალოგისათვის (ინტერმედიისათვის) გათვალისწინებული განაკვეთები შეეფარდება ადგილობრივ თემებზე დაწერილ ინტერმედიებს, აგრეთვე ისეთ ინტერმედიებს, რომლებსაც აქვთ ნომრის დაკავშირების ან შესავლის ხასიათი;

გ) ცალკეული რეპრიზებისათვის გათვალისწინებული განაკვეთები შეეფარდება ხალიჩის კლოუნებისა და კონფერანსიებისათვის დაწერილ რეპრიზებს.

59. დაწესებულებებს ან ორგანიზაციებს, რომლებმაც ავტორს დაუდეს ხელშეკრულება გამოუქვეყნებელი ნაწარმოების საჯაროდ შესრულების შესახებ (დადგმის ხელშეკრულება) და გადაუხადეს ავტორს გასამრჯელო, უფლება აქვთ გადასცენ მათ მიერ მიღებული ნაწარმოები ფართო საჯარო შესრულებისათვის საქვეუწყებო ორგანიზაციებს, შეასრულონ იგი რადიოთი და ტელევიზიით, აგრეთვე გაუგზავნონ საავტორო უფლებათა სრულიად საკავშირო სააგენტოს გასამრავლებლად და გასავრცელებლად ისე, რომ არ გადაუხადონ ავტორს რაიმე დამატებითი გასამრჯელო დადგმის უფლებისათვის. ასეთ ნაწარმოებთა საჯაროდ შესრულებისა და გამოცემისათვის ავტორს გასამრჯელო შეუნარჩუნდება.

60. თუ საავტორო უფლებათა სრულიად საკავშირო სააგენტო გაამრავლებს გამოუცემელ დრამატულ და საესტრადო ნაწარმოებებს ხელნაწერის უფლებით მათი ავტორების თანხმობით, რათა მოამარაგოს თეატრები სარეპერტუარო სიახლეებით, ეს არ მიიჩნევა აღნიშნულ ნაწარმოებთა გამოქვეყნებად, რასაც ითვალისწინებს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 490-ე მუხლი.

61. იმ თანამდებობის პირებთან, რომლებზეც დამოკიდებულია სარეჟისორო-სადადგმო მუშაობა ან რეპერტუარის შედგენა მოცემულ თეატრში, ცირკში, საკონცერტო ორგანიზაციაში ან საშემსრულებლო კოლექტივში, ხელშეკრულებანი, რომლებიც ითვალისწინებენ ერთდროული გასამრჯელოს გაცემას, შეიძლება დაიდოს მხოლოდ ყოველ ცალკე შემთხვევაში ზემდგომი ორგანიზაციის სპეციალური ნებართვით.

62. საავტორო გასამრჯელო ნაწარმოების შესაქმნელად შეკვეთების შესრულებისათვის ავტორთა მემკვიდრეებს მიეცემათ დადგენილი წესის მიხედვით საავტორო უფლებათა სრულიად საკავშირო სააგენტოს მეშვეობით.

## V. სსრ კავშირის ლიტერატურულ და მუსიკალურ ფონდებში თანხების გადარიცხვის წესი

63. ყველა სანახაობითმა საწარმომ, კლუბმა, საკონცერტო-საესტრადო ორგანიზაციამ და ა. შ. საავტორო ჰონორართან ერთად უნდა გადაუხადოს საავტორო უფლებათა სრულიად საკავშირო სააგენტოს საქართველოს განყოფილებას ანარიცხები სსრ კავშირის ლიტერატურულ და მუსიკალურ ფონდებში, ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

ლიტერატურულ ფონდში გადაირიცხება:

ა) გამომცემლობებისა და ჟურნალების რედაქციების მიერ ორიგინალური და თარგმნილი მხატვრული ნაწარმოებებისათვის (ლექსები, პროზა, დრამატუ-

ლი ნაწარმოებები, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურა, პოპულარულ-სანარკვევო, ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკული ნაწარმოებები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე) — ფაქტიურად გაცემული საავტორო ჰონორარის მთელი თანხის ათი (10) პროცენტის ოდენობით:

ბ) სტაციონარული და მოძრავი დრამატული (დრამის, კომედიის და სხვ.), საბავშვო, მოზარდ მაყურებელთა, თოჯინების, რაიონული და მინიატურების თეატრების მიერ — მთლიანი შემოსავლის ან ხელშეკრულების (როცა შესვლა უფასოა) თანხის ორი (2) პროცენტის ოდენობით:

გ) ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების (კლუბები, კულტურის სახლები, კულტურისა და დასვენების პარკები, საზაფხულო ბაღები და სხვ.) მიერ თვითმოქმედი წრეების სპექტაკლებისათვის — მთლიანი შემოსავლის ან ხელშეკრულების (როცა შესვლა უფასოა) თანხის ნახევარი (0,5) პროცენტის ოდენობით.

მუსიკალურ ფონდში გადაირიცხება:

ოპერისა და ბალეტის, ოპერეტის (მუსიკალური კომედიის) და ესტრადის სტაციონარული და მოძრავი თეატრების, ყველა საკონცერტო და საკონცერტო-საესტრადო, აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ორგანიზაციის მიერ, რომლებიც მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ სპექტაკლებსა და კონცერტებს აწყობენ, — საერთო შემოსავლის ან ხელშეკრულების (როცა შესვლა უფასოა) თანხის ერთნახევარი (1,5) პროცენტის ოდენობით.

სსრ კავშირის ლიტერატურულ და მუსიკალურ ფონდებში ანარიცხები იწარმოებს მიუხედავად იმისა, იცავს თუ არა საავტორო უფლება ამა თუ იმ ნაწარმოებს.

64. სსრ კავშირის ლიტერატურულ და მუსიკალურ ფონდებში თანხების გადარიცხვასთან ერთად გამომცემლობები და სანახაობითი საწარმოები მოვალენი არიან ყოველთვიურად წარუდგინონ საავტორო უფლებათა სრულიად საკავშირო სააგენტოს საქართველოს განყოფილების რწმუნებულებს ცნობები დაწესებული ფორმების მიხედვით, აგრეთვე წარუდგინონ მათ ყოველგვარი დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნება დადგენილ იქნეს შენატანების გადახდის სისწორე და დროულობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი — 76187

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 1977 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/IX-77 წ. ქაღალდის ფორმატი 70 X 108 1/16
საბეჭდი თაბახი 6. სააღრიცხვო თაბახი 6

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა № 415 უე 01689 ტირაჟი 2190

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

ჩ 6/223

ეროვნული ბიბლიოთეკა